

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი



იურიდიული ფაკულტეტი

ნაშრომი სამართლის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

დავა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად  
ცნობის თაობაზე და სასამართლო პრაქტიკა

ავტორი: ბექა პატარაია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია კოპალეიშვილი

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციული სამართლის მიმართულების  
პროფესორი; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი

თბილისი

2019

## შინაარსი

შესავალი -----	3
<b>1. სარჩელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე-----</b>	<b>5</b>
1.2. სარჩელის განსახილველად მიღება -----	7
1.2.1. ხარვეზის დადგენა-----	10
1.2.2. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა-----	13
1.2.3. საქმის წარმოების შეწყვეტა-----	20
1.2.3.1. საქმის წარმოების შეწყვეტა ერთჯერადი გასაჩივრების უფლების გამოუყენებლობის გამო-----	20
1.2.3.2. სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილი პირი -----	22
1.2.3.3. გასაჩივრების ვადა-----	24
<b>2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის განხილვა-----</b>	<b>26</b>
2.1 გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება-----	26
2.2. პროცესში მონაწილე სუბიექტები-----	28
2.3. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების შემოწმება-----	32
2.4. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება-----	37
<b>3.0. გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით-----</b>	<b>42</b>
<b>4. დასკვნა-----</b>	<b>51</b>
გამოყენებული ლიტერატურა-----	54

## შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის მე-3 მუხლის თანახმად, საქართველო არის დემოკრატიული რესპუბლიკა და სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი ძალაუფლებას ახორციელებს თავისი წარმომადგენლების, აგრეთვე რეფერენდუმისა და უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმების მეშვეობით. სწრედ ზემოაღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი განამტკიცებს სახელმწიფო ხელისუფლების ხალხის მიერ ლეგიტიმაციის მინიჭების პროცესს და ადგენს მმართველი ორგანოების ანგარიშვალდებულებას ხალხის მიმართ. კონსტიტუციის მე-3 მუხლის ანალიზის შედეგად ნათელია, რომ ხელისუფლებას ახორციელებს ხალხი, ხოლო მმართველი ორგანოები გვევლინებიან, როგორც საშუალება და მექანიზმი ამ უფლებამოსილების ეფექტიანად განსახორციელებლად. ზემოაღნიშნული პრინციპი გამომდინარეობს ხალხის სუვერენიტეტის იდეიდან.<sup>1</sup>

საზოგადოება მოკლებულია შესაძლებლობას თავად, უშუალოდ განახორციელოს რეალური მმართველობა და ამას აკეთებს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მეშვეობით, რომელსაც თავად აკომპლექტებს. თუმცა, საზოგადოების მხრიდან ორგანოთათვის მთელი რიგი უფლებამოსილებების მინიჭება როდი გულისხმობს მათი აბსოლუტური ძალაუფლებით აღჭურვას. რეალურად, ხსენებული ორგანოები, მათი საქმიანობის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები მკაცრად არის რეგლამენტირებული შესაბამისი კანონმდებლობით. სახელმწიფო მართვის ორგანოს საქმიანობა უნდა ხორციელდებოდეს კანონის საფუძველზე. საჯარო მართვის სფეროში მოქმედებს პრინციპი: „ნებადართულია მხოლოდ ის, რაც დადგენილია კანონით“.<sup>2</sup> შესაბამისად სახელმწიფოს მხრიდან მისთვის მინიჭებულ უფლება-მოვალეობების განხორციელებისას აუცილებელი პირობაა კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა.<sup>3</sup>

ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, უდიდეს მნიშვნელობას იძენს ხელისუფლების მიერ, მისთვის დაკისრებული

<sup>1</sup> Windthorst, Grundgesetz Studienkommentar, C.H.Beck; Auflage: 2, Nördlingen, 2015, S. 321 Rn. 33

<sup>2</sup> ლევან იზორია, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე აქტუალიზირებული გამოცემა, თბილისი, GTZ 2005, გვ. 46 და მომდევნო; სერგი ჯორბენაძე, არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სამეცნიერო რედაქტორი: მაია კოპალეიშვილი, ადმინისტრაციული სამართალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი 2/2016, თბილისი, GIZ, 2016, გვ. 104 და მომდევნო.

<sup>3</sup> გიორგი ხუბუა, საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები, „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები“, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები ტომი 3, თბილისი, 2016, გვ. 67 და მომდევნო.

ვალდებულებების კანონიერად აღსრულება. რაც რეალურად კონსტიტუციის პირდაპირი მოთხოვნაა. ამავდროულად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლი ასევე განამტკიცებს კანონიერების პრინციპს, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი სამართლებრივი აქტი და მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს და გამომდინარეობდეს კანონიდან. რაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ წარმოადგენს არსებით განსხვავებას კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობისაგან.<sup>4</sup>

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულია შესაბამის ორგანოთა მიერ გამოსაცემი ნორმატიული აქტების სახეები და მათ მიმართ წაყენებული მოთხოვნები, თუ რა შემთხვევაში და რა სახით უნდა გამოიყენოს ისინი.<sup>5</sup> რომლის ანალიზის საფუძველზეც, ნათელია თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას იძენს თითოეული ხსენებული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის კანონიერება. ასეთ დროს, უდიდესი როლი ენიჭება პირის უფლებას - საკუთარ უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს და მიიღოს მართლმსაჯულება.

ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, გამოკვლეული იქნება საკითხები რომელიც შეადგენს ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის პროცესს, როგორც საწყის ეტაპს - სარჩელის სახესა და სასამართლოს მიერ მის განსახილველად მიღებას, ასევე, ასეთი სარჩელის განხილვის თავისებურებებსა და მასზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას. ნაშრომში მიმოიხილება ფაქტობრივად სრული სამართალწარმოება, თუმცა ბუნებრივია, აქცენტი გაკეთდება მხოლოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვან ასპექტებზე, რაც ასევე მოიცავს არამოხლოდ, ადმინისტრაციულ, არამედ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ნიუანსების განხილვას. ამავდროულად, კვლევის საგანს წარმოადგენს ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის საკითხი, ასეთის თაობაზე დავა და არა ძალადაკარგულად მოთხოვნის თემა, რადგან ნაშრომი ეხმაურება ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან ნორმატიული აქტის გამოცემისას კანონის მოთხოვნათა შესრულებასა და სასამართლოს მხრიდან ასეთის კონტროლს და არა კანონიერი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თემატიკას.

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს ნორმატიული აქტის მომზადების და გამოცემის სტადიების მარეგულირებელი კანონმდებლობის,

<sup>4</sup> სერგი ჯორბენაძე, არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სამეცნიერო რედაქტორი: მაია კოპალეიშვილი, ადმინისტრაციული სამართალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი 2/2016, თბილისი, GIZ, 2016, გვ. 104 და მომდევნო.

<sup>5</sup> „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-10-14 მუხლები.

ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან ამ კანონმდებლობის დაცვისა და სწორად აღსრულების და თავად ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის განხილვის პროცესის ანალიზი, არსებული გარკვეული ხარვეზების, ნაკლოვანებების და პოზიტიური ტენდენციების წარმოჩენა.

ნაშრომში განხილული იქნება რელევანტური სამეცნიერო ლიტერატურა, გაკეთება კანონმდებლობის ანალიზი და ყურადღება იქნება გამახვილებული საქართველოს საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების განმარტებებსა და პრაქტიკაზე. ნაშრომში გამოყენებული იქნება ლიტერატურის მიმოხილვის, ანალიტიკური და სამართლებრივი დოგმატიკის მეთოდები, კანონმდებლობის ანალიზის სახით.

პირველ თავში წარმოდგენილი იქნება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის სახე და მისი დასაშვებობის, განსახილველად მიღების წინაპირობები. ნაშრომის შემდეგი - მეორე და მესამე თავები კი შეეხება ასეთი სარჩელის განხილვის თავისებურებებსა და მასზე გადაწყვეტილების მიღებას.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგად მიღწეული ის მიგნებები, რომლებმაც სასურველია, ასახვა ჰპოვოს საკანონმდებლო თუ სასამართლო სამართალწარმოების პრაქტიკაში.

## **1. სარჩელი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე**

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის განსაზღვრავს საპროცესო უფლებებს. მოცემული მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. ყურადსაღებია ის გარემოება, რომ მოცემული დანაწესი ლოგიკური განმარტების შედეგად, მიემართება სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე, მსგავსად ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მე-6 მუხლისა.<sup>6</sup>

„სასამართლოსათვის მიმართვის უფლება „ხელისუფლების შტოებს შორის შეკავებისა და გაწონასწორების არქიტექტურის“ უმნიშვნელოვანეს ნაწილად

---

<sup>6</sup> მერაბ ტურავა, „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2013, გვ. 521 და მომდევნო.

განიხილება.“<sup>7</sup> „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, სამართლიანი სასამართლოს უფლება ინსტრუმენტული ხასიათისაა, მისი მიზანი ადამიანის უფლებების და კანონიერი ინტერესების სასამართლოს გზით ეფექტური დაცვის შესაძლებლობის უზრუნველყოფაა. „ამა თუ იმ უფლებით სრულად სარგებლობის უზრუნველყოფის უმნიშვნელოვანესი გარანტია ზუსტად მისი სასამართლოში დაცვის შესაძლებლობაა. თუკი არ იქნება უფლების დარღვევის თავიდან აცილების ან დარღვეული უფლების აღდგენის შესაძლებლობა, სამართლებრივი ბერკეტი, თავად უფლებით სარგებლობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ. შესაბამისად, უფლება-თავისუფლებების დასაცავად სასამართლოსადმი მიმართვის აკრძალვა ან არათანაზომიერი შეზღუდვა არღვევს არა მხოლოდ სამართლიანი სასამართლოს უფლებას, არამედ, იმავდროულად, შეიცავს საფრთხეს თავად იმ უფლების უგულებელყოფისა, რომლის დასაცავადაც სასამართლოსადმი მიმართვა აკრძალული (შეზღუდული)“.<sup>8</sup>

თუმცა, ზემოაღნიშნული ცხადია არ გულისხმობს, რომ სასამართლოსათვის მიმართვა არის აბსოლუტური უფლება. დემოკრატიულ საზოგადოებაში იგი შეიძლება დაექვემდებაროს გარკვეულ შეზღუდვებს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდვები არ იყოს იმდენად ამკრძალავი ხასიათის, რომ არსებითად საფუძველი გამოაცალოს მოცემულ უფლებას.<sup>9</sup>

„ინტერესთა დაბალანსებისა და ჰარმონიული თანაარსებობის ვალდებულება კონსტიტუციიდან მომდინარეობს, ამიტომ ის თავადვე იძლევა პასუხებს ასეთი ბალანსის მიღწევის შესაძლებლობებზე. ამა თუ იმ კონსტიტუციური

---

<sup>7</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის № 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II, 1-ლი პუნქტი; მერაბ ტურავა, „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“, ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), თბილისი, 2013, გვ. 104 და მომდევნო.

<sup>8</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N 1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-14.

<sup>9</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისის“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის N2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; ასევე, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №38736/04) §40.

უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური მიზნებიც თავად კონსტიტუციაშია მოცემული. ამასთან, კანონით (სადავო ნორმით) უფლებაში ჩარევის მიზნის ლეგიტიმურობის შეფასება გულისხმობს კონკრეტული კონსტიტუციური უფლების შეზღუდვისთვის კონსტიტუციითვე გათვალისწინებულ ლეგიტიმურ მიზნებთან მისი შესაბამისობის, თანხვედრის გარკვევას, დადგენას.<sup>10</sup>

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არ წარმოადგენს აბსოლუტურ უფლებას, შესაბამისად, სახელმწიფოს უფლება აქვს დაადგინოს შეზღუდვები სარჩელის (სააპელაციო, საკასაციო საჩივრების) სასამართლო წარმოებაში მიღებასთან დაკავშირებით, რა დროსაც, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კონკრეტული საქმის გარემოებები.<sup>11</sup> ამავდროულად, სხვადასხვა სამართლებრივი ურთიერთობის სფეროებიდან გამომდინარე, ბუნებრივია არსებობს სასამართლოსათვის მიმართვის განსხვავებული წინაპირობები და უფლების რეალიზების მექანიზმები.

ცხადია, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვას აქვს ლეგიტიმური მიზნები. რაც, პირველ რიგში ემსახურება სამართლებრივი სტაბილურობის ჩამოყალიბებას. ასევე, დავაში მონაწილე მხარეთა ინტერესის რეალიზებას.<sup>12</sup> შესაბამისად, როგორც სხვა შემთხვევებშიც, ასევე ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის აღძრვის შემთხვევაშიც, კანონმდებლობა ითვალისწინებს მთელ რიგ შეზღუდვებს და წინაპირობებს. რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ.

## 1.2 სარჩელის განსახილველად მიღება

სასამართლოში სარჩელის შეტანის შემდგომ სასამართლო მის არსებითად განხილვამდე იწყებს მისი განსახილველად მიღების, დასაშვებობის წინაპირობების შემოწმებას, <sup>13</sup> რაც არსებითად წარმოადგენს პროცესის უწინარეს სტადიას და რის გარეშეც პროცესის გამართვა მოკლებულია

---

<sup>10</sup> ქეთევან ერემამე "ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, გვ. 28.

<sup>11</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ბს-10-10(კ-18) 28 ივნისი, 2018 წელი.

<sup>12</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა №-705-17 26 ივნისი, 2017 წელი.

<sup>13</sup> ინგა თოდრია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 151.

საფუძვლებს.<sup>14</sup> მოცემული საკითხი ასევე მოიცავს იმ გარემოების შესწავლას თუ პროცესუალური თვალსაზრისით რამდენად აქვს მოსარჩელე პირს უფლება სარჩელზე.<sup>15</sup>

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ეს კოდექსი განსაზღვრავს საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის საპროცესო წესებს. მოცემული მუხლის მე-2 ნაწილი თავის მხრივ ადგენს, რომ თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. რაც, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, იძლევა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის გამოყენების პირდაპირ საფუძველს.<sup>16</sup>

შესაბამისად, სასამართლო სარჩელის წარმოებაში მიღებისა და მისი დასაშვებად ცნობის საკითხზე მსჯელობისას ხელმძღვანელობს როგორც ადმინისტრაციული, ასევე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობა იცნობს სასამართლოს მიერ, სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვის რამდენიმე მექანიზმს - ა) სარჩელის მიღებაზე უარის თქმა; ბ) სარჩელის განუხილველად დატოვება; გ) საქმის წარმოების შეწყვეტა, მისი დაუშვებლობის გამო.

აღსანიშნავია, რომ ყველა წინაპირობა ვრცელდება, როგორც შესაბამის სამოქალაქო საქმეებზე, ასევე ადმინისტრაციულ სასამართლოს განხილვას დაქვემდებარებულ როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ასევე ნორმატიული აქტების შესახებ დავებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ როგორც სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, ასევე საქმის წარმოების შეწყვეტის, მისი დაუშვებლობის გამო და სარჩელის განუხილველად დატოვების თაობაზე სასამართლოს გამოაქვს განჩინება,

---

<sup>14</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 35.

<sup>15</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 107.

<sup>16</sup> მაია ვაჩაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 14.



თუმცა მათ გააჩნიათ განსხვავებული სამართლებრივი წინაპირობები და ამავდროულად განსხვავებული შედეგები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე მუხლი ადგენს, რომ საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოში აღიძვრება სარჩელით.... სარჩელი (განცხადება) შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით, როგორც წესი, ნაბეჭდი სახით. სარჩელი უნდა პასუხობდეს კანონით დადგენილ მოთხოვნებს<sup>17</sup> და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშს და შედგენილი უნდა იყოს ამ ნიმუშში მითითებული წესების დაცვით.<sup>18</sup>

სასამართლოსათვის მიმართვის წესი დადგენილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლით, რომლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილ სარჩელის ფორმაში უნდა აღინიშნოს: ა) სასამართლოს დასახელება, რომელშიც შეაქვთ სარჩელი; ბ) მოსარჩელის, მისი წარმომადგენლის (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს), მოპასუხის, მოწმის, სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის სახელი, გვარი (სახელწოდება), ძირითადი მისამართი (ფაქტობრივი ადგილსამყოფელი) და სხვა რეკვიზიტები. გ) დავის საგანი; დ) სარჩელის ფასი; ე) კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; ვ) მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს; ზ) მოსარჩელის მოთხოვნა; თ) სამართლებრივი საფუძვლები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნებს; ი) არსებობის შემთხვევაში, მოსარჩელის შუამდგომლობები: ... რომლებიც დაკავშირებულია როგორც მხარის ინტერესების რეალიზებასთან, ასევე საქმეზე სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების განსხორციელებლად.

კ) სარჩელისათვის დართული დოკუმენტების ნუსხა;

მ) მოსარჩელის მოსაზრება საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვის თაობაზე.

2. სარჩელს უნდა დაერთოს წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ სარჩელი სასამართლოში შეაქვს წარმომადგენელს.

2<sup>1</sup> . სარჩელს უნდა ერთოდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი).

<sup>17</sup> თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, გვ. 305.

<sup>18</sup> იხილეთ ფორმა <http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/sasamartlo-formebi/sasamartlo-formebi-administratsiul-saqmeze> (27.06.2019 წ.)

3. მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

3<sup>1</sup> . სასამართლოს უნდა წარედგინოს სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა.

4. მოსარჩელე, მისი წარმომადგენელი (თუ სარჩელი შეაქვს წარმომადგენელს) ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს სარჩელში საკუთარი, მოპასუხის, მოწმის, ასევე სხდომაზე მოსაწვევი სხვა პირის მისამართები.

5. სარჩელს ხელს აწერს მოსარჩელე ან მისი უფლებამოსილი წარმომადგენელი.

### 1.2.1. ხარვეზის დადგენა

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 477-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

აღსანიშნავია, რომ მხარე ზოგადად არ არის ვალდებული საქმეზე დაურთოს ყველა საჭირო მტკიცებულება, აღნიშნული წარმოადგენს მხარის უფლებამოსილებას, მასზედ, რომ მან გაამყაროს საკუთარი პოზიცია

შესაბამისი მტკიცებულებებით.<sup>19</sup> თუმცა, კანონი მხარეს ავალდებულებს, რომ სასამართლოს წარუდგინოს ის მტკიცებულებები, რომელზეც იგი საკუთარ პოზიციას ამყარებს და განცხადებაში აქვს მითითება ასეთის თაობაზე. მოცემულ ასპექტში, ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დავის შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ისეთი დანაწესი, როგორცაა მოსარჩელის ვალდებულება სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუმცა, ნორმატიული აქტის კანონიერებაზე დავის შემთხვევაში განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი ფორმალური ნიუანსის დაცვის საკითხი, როგორცაა - გასაჩივრებული, სადავოდ გამხდარი, აქტის სარჩელთან ერთად წარდგენა.

ერთერთ საქმეზე, სადაც გასაჩივრებული იყო სწორედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, კერძოდ „იმ ქვეყნების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიერ გაცემული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობით მის მფლობელს უფლება აქვს, საქართველოში განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა შესაბამის სპეციალობაში (სპეციალობებში) სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე და იმ ქვეყნების ნუსხის, რომელთა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის პროგრამა შეესაბამება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №01-42/ნ - ით დამტკიცებული იმ ქვეყნების ნუსხა, რომელთა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის პროგრამა შეესაბამება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს (დანართი 2)- ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, სასამართლომ მიიღო განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ შემდეგს: -

„სასამართლო გაეცნო სარჩელს, თანდართულ მასალებს და მიაჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი არ პასუხობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 177-ე-178-ე მუხლების მოთხოვნებს, კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

---

<sup>19</sup> თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, გვ. 308.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელში უნდა აღინიშნოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებს მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებებს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოსარჩელე ვალდებულია, სარჩელს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოსარჩელეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია სარჩელთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს სარჩელში. მოსარჩელე უფლებამოსილია, მტკიცებულებათა წარდგენისათვის მოითხოვოს გონივრული ვადა.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ითხოვს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის N01-42/ნ ბრძანების დანართი 2-ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის გაუქმებას. თუმცა სარჩელს თან არ ერთვის გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი. შესაბამისად, მოსარჩელემ უნდა წარმოადგინოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის N01-42/ნ ბრძანება.“<sup>20</sup>

ბუნებრივია, მტკიცებულებათა წარმოდგენა, მათ შორის როდესაც გასაჩივრებულია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აუცილებელია, როდესაც დავა შეეხება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებას. სასამართლო უნდა დარწმუნდეს რომ არსებობს დავის საგანი და რეალურად არსებობს ის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი რომელთან დაკავშირებითაც, მოსარჩელე აღძრავს სარჩელს. ამავდროულად, ნორმატიული აქტის სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში სარჩელის დასაშვებობის საკითხის გასარკვევად სასამართლომ უნდა დაადგინოს მისი ძალაში ყოფნის ფაქტი. მისი ოფიციალურ ორგანოში (და არა რომელიმე სხვა გამოცემაში) გამოქვეყნება.<sup>21</sup> ხსენებული ასევე დაკავშირებულია გასაჩივრების ვადის ათვლასთან, ვინაიდან გასაჩივრების ვადა სწორედ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონით

---

<sup>20</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება 2017 წლის 4 სექტემბრის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ, საქმე №3/5957-17 მოსარჩელე - ზ. ი. და სხვები მოპასუხე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინამდებ.

<sup>21</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლამე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 110.

დადგენილი წესით გაცნობის შემდგომ აითვლება.<sup>22</sup> თუმცა, როდესაც სასამართლო სარჩელზე ადგენს ხარვეზს გასაჩივრებული ნორმატიული აქტის სარჩელთან ერთად წარმოუდგენლობის გამო, ასეთი მოქმედება მოკლებულია გონივრულ საფუძველს ვინაიდან, ნორმატიული აქტი ისედაც საჯაროა და გამოქვეყნებულია კანონით დადგენილი წესით, რაზეც სასამართლოსაც მიუწვდება ხელი და აქვს შესაძლებლობა გადაამოწმოს მისი არსებობა.

ამავდროულად, მსგავსი ტიპის საფუძვლით სარჩელზე ხარვეზის დადგენა იწვევს სრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების პრინციპების უგულებელყოფას, რაც წარმოადგენს მართლმსაჯულების განუყოფელ, აუცილებელ პრინციპებს,<sup>23</sup> რაც არსებითად დაკავშირებულია სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან.<sup>24</sup> სასამართლოს მხრიდან კი მსგავსი მიდგომა იწვევს როგორც სასამართლოს, ასევე მხარეთა მხრიდან დამატებითი რესურსების გამოყოფას.

### 1.2.2. სარჩელის მიღებაზე უარის თქმა

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის თანახმად, მოსამართლე სარჩელის ჩაბარებიდან 5 დღის ვადაში არ მიიღებს სარჩელს, თუ:

ა) სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას; ბ) არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის ან მხარეთა მორიგების დამტკიცების შესახებ; გ) ამ ან სხვა სასამართლოს წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით; ე) საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის;

ზ) დაინტერესებული პირის სახელით სარჩელი შეიტანა პირმა, რომელსაც არა აქვს უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე; თ) სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს

---

<sup>22</sup> მაია ვაჩაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 134.

<sup>23</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა 2011 წლის 19 მაისის განჩინება საქმე №ა-998-ა-7-2011 №ა-998-ა-7-2011 ლ-შვილი.

<sup>24</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N 2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით მოწინიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-20.

მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არსებობს მოსარჩელის სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების, მისი გადახდის გადავადების ან მისი ოდენობის შემცირების საფუძველი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ე“, „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საფუძველებით მოსამართლის მიერ სარჩელის მიღებაზე უარის თქმა ხელს არ უშლის პირს, განმეორებით მიმართოს სასამართლოს იმავე სარჩელით, თუ აცილებული იქნება დაშვებული დარღვევა.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, თუ სარჩელის განხილვა არ შედის სასამართლოების კომპეტენციაში, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შესახებ, იმ მოტივით, რომ მისი განხილვა არ ექვემდებარება სასამართლოს უწყებრივად. თუ სასამართლომ შეცდომით მიიღო ასეთი სარჩელი, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ უნდა მიეღო მაშინ სასამართლო გამოიტანს განჩინებას საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.<sup>25</sup>

სარჩელის მიღებაზე უარის თქმის საფუძველია თუკი სარჩელი არ ექვემდებარება სასამართლო უწყებას. რაც ნიშნავს იმას, რომ სარჩელში დასმულ საკითხი უნდა გადაწყვიტოს არა სასამართლომ არამედ სხვა ინსტიტუციამ/ორგანომ. ასე მაგალითად საერთო სასამართლოების განსჯადი არ არის კანონის შესაბამისობა საქართველოს კონსტიტუციასთან. უწყებრივი ქვემდებარეობის დატვირთა არის ხელისუფლების დანაწილების პრინციპის რეალიზების გამოვლინება/მაგალითი. ხსენებული ინსტიტუტი ერთის მხრივ წარმოადგენს აღმჭურველ ინსტრუმენტს სასამართლოსათვის მიმართვისა, თუმცა მეორეს მხრივ წარმოადგენს როგორც მოქალაქეთა უფლების შეზღუდვას, ასევე სასამართლოს გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას, რათა არ მოხდეს სწორედ ხელისუფლების დანაწილების პრინციპის დარღვევა და სასამართლომ არ იმსჯელოს ისეთ საკითხებზე რაც შესაძლოა მიეკუთვნებოდეს სხვა ორგანოს კომპეტენციას.<sup>26</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლო ვალდებულია უწყებრივი ქვემდებარეობის პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, შეწყვიტოს საქმეზე წარმოება, ხოლო იმ შემთხვევაში,

<sup>25</sup> თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, გვ. 322 და მომდევნო.

<sup>26</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლამე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 36 და მომდევნო.

<sup>27</sup> თუ სასამართლო მაინც განიხილავს ასეთი პრინციპის დარღვევით საქმეს, აღნიშნული წარმოადგენს გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძემდებელს.<sup>28</sup>

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ აქ კანონმდებელი გულისხმობს, როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, ასევე ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან.<sup>29</sup>

აღსანიშნავია, რომ როგორც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, გასაჩივრებას ექვემდებარება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ასევე თავად ხსენებული კოდექსი არეგულირებს მისი მომზადების გამოცემისა და მატერიალური სამართლიანობის, კანონიერების კრიტერიუმებს. ამავდროულად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ადგენს, რომ სასამართლოს განსჯას ექვემდებარება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

აღნიშნული მიმართულებით მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ მნიშვნელოვანი შემთხვევა, როდესაც „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავდა პირის სასამართლოსათვის მიმართვის შეზღუდვის უფლებას სწორედ ნორმატიული აქტის კანონიერების შემოწმების მიზნით. მოცემული კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენდა, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგია, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დონე და ფულადი სოციალური დახმარების ოდენობა არ საჩივრდება. ბუნებრივია ასეთ დროს

---

<sup>27</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 25.

<sup>28</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 36 და მომდევნო.

<sup>29</sup> მაია ვაჩაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 18.

სასამართლოსათვის მიმართული სარჩელი საფუძველშივე იყო უპერსპექტივო და მოცემული ნორმა წარმოადგენდა აკრძალავას - ასეთი სახის სარჩელი დაქვემდებარებოდა სასამართლოს მიერ შემოწმებას. ხსენებული ნორმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით N 1/2/434 ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.<sup>30</sup>

აღსანიშნავია, რომ გადაწყვეტილება ეფუძნება სწორედ სასამართლოსათვის მიმართვის უფლებასა და მის მნიშვნელობას. ამავე გადაწყვეტილებაზე კი დართულია მოსამართლეთა განსხვავებული აზრი, რომლის მიხედვითაც გასაჩივრებული ნორმა მიემართებოდა ასევე საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სოციალური უფლებებისაკენ.<sup>31</sup> თუმცა, არსებითი მნიშვნელობისაა ის გარემოება, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილებით, სარჩელი საქართველოს მთავრობის ნორმატიული აქტის, (რომელიც განსაზღვრავს - სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიას, აგრეთვე საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი დონეს და ფულადი სოციალური დახმარების ოდენობას) ბათილად ცნობის თაობაზე დაუქვემდებარა სასამართლო უწყებას. ამავდროულად, სასამართლომ ცხადად განმარტა, რომ კანონი იყოს შეუსაბამო კონსტიტუციასთან სწორედ იმის გამო, რომ არ იძლეოდა უფლების დაცვის მექანიზმის არსებობის საშუალებას. რაც ფაქტობრივად სასამართლოს მხრიდან შესაძლოა აღქმული იყოს, როგორც მესიჯი საკანონმდებლო ხელისუფლების მიმართ, რათა ასეთი მიდგომა მაქსიმალურად იქნას თავიდან აცილებული. თუმცა, ბუნებრივია, მოქმედი საკანონმდებლო აქტების მიმართ არსებობს კონსტიტუციურობის პრეზუმფცია და ასეთი ნორმის შემუშავების შემთხვევაში, ყოველ ჯერზე, მისი განხილვა მოითხოვს ცალკე პროცედურას/წარმოებას, კანონმდებლობის შესაბამისად.

უწყებრივი ქვემდებარეობის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო სასამართლოებს შორის კომპეტენციათა გამიჯვნა.

საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოები უფლების დაცვის განსხვავებულ სამართლებრივ შესაძლებლობებს იძლევიან და ერთი მეორის

<sup>30</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს № 1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<sup>31</sup> იქვე. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ქეთევან ერემადის და ბესარიონ ზოიძის განსხვავებული აზრი.



ალტერნატივად ვერ ჩაითვლებიან. “საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 39-ე მუხლის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოში ნორმატიული აქტის მხოლოდ კონსტიტუციასთან შესაბამისობის დადგენა ხდება და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დაირღვა ან შესაძლებელია უშუალოდ დაირღვეს მოსარჩელის მეორე თავით აღიარებული უფლებები. თუ სასამართლო დარწმუნდება, რომ ესა თუ ის უფლება არ არის კონსტიტუციური უფლება ან რომელიმე კონსტიტუციურ უფლებასთან სადავო ნორმის მიმართება არ არსებობს, საკონსტიტუციო სასამართლო სარჩელს არსებითად განსახილველად არ მიიღებს.<sup>32</sup>

საჯარო სამართალურთიერთობებიდან წარმოშობილი საქმეთა რიცხვიდან ნორმატიული აქტების საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენის თაობაზე საქმეებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. ამ კატეგორიის საქმეთა მნიშვნელობის მიუხედავად სრულყოფილად არ არის განსაზღვრული საკონსტიტუციო სასამართლოსა და საერთო იურისდიქციის სასამართლოებს შორის კომპეტენცია.<sup>33</sup>

მხედველობაშია მისაღები, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენცია ნორმატიული აქტების კონსტიტუციისადმი შესაბამისობაზე არის განსაკუთრებული და ზუსტად განსაზღვრული. ამასთანავე, საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასთან და არა სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტთან მიმართებით ნორმატიული აქტის შესაბამისობის საკითხს.<sup>34</sup>

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტი ადგენს, რომ სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში. საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. .... ამავდროულად, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2. საქართველოს საკანონმდებლო აქტების სახეებია: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი.. შესაბამისად,

---

<sup>32</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს № 1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ II - 12 და მოდმევნო.

<sup>33</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლამე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", 2008 GTZ, გვ. 59 და მომდევნო.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 62.

საქართველოს კონსტიტუცია წარმოადგენს საქართველოს უზენაეს კანონს. იგი არის აკანონმდებლობისგან განცალკევებული, არამედ არის კანონმდებლობის ნაწილი, როგორც მისი უზენაესი აქტი.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან. შესაბამისად, კანონის ეტიმოლოგიური გაგებით, საერთო სასამართლოების კომპეტენციას განეკუთვნება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისობის შემოწმება კანონმდებლობასთან, მათ შორის კანონთან - საქართველოს კონსტიტუციასთან. თუმცა, აღნიშნული მიმართულებით განხვავებულია სასამართლო პრაქტიკა და გაბატონებული მოსაზრება. რასაც ძირითადად საფუძველად უდევს თავად ნორმატიული აქტის არსი, რომლის მიხედვითაც იგი არის კანონის საფუძველზე და მის შესაბამისად გამოცემული აქტი. შესაბამისად, იგი უნდა შეესაბამებოდეს სწორედ ამ კანონს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი. თავად ამ კანონის მიმართ კი ვრცელდება კონსტიტუციურობის პრეზუმფცია. შესაბამისად, აქტის ბათილად ცნობისათვის საკმარისია, რომ სასამართლომ შეამოწმოს ის გარემოება, შეესაბამება თუ არა კანონმდებლობას ნორმატიული აქტი, თუკი არ შეესაბამება, იგი ბათილია, ხოლო თუ შეესაბამება, თავად საკითხი - კანონის შესაბამისობა კონსტიტუციასთან, სცდება საერთო სასამართლოების კომპეტენციას.<sup>35</sup>

„იმ შემთხვევაში, თუ საერთო სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ გამოირკვევა, რომ სადავო საკითხი ექვემდებარება საკონსტიტუციო სასამართლოს განხილვას, აღნიშნული სსკ-ის 272-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველს ქმნის. საკონსტიტუციო სასამართლო და საერთო სასამართლოები სხვადასხვა იურისდიქციის სასამართლოებია, რაც თავისთავად უნდა გამოირიცხავდეს მათი კომპეტენციის გადაკვეთას. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმთავითვე მცდარია საკითხის დაყენება იმის შესახებ, თუ რომელ სასამართლოს გააჩნია უპირატესი იურიდიული ძალა.“<sup>36</sup> თუმცა, აღსანიშნავია, რომ მოცემული მიმართულებითაც კი არაერთგვაროვანია სასამართლოს მიდგომა. კერძოდ, ერთერთ ადმინისტრაციულ საქმეზე სადაც მოსარჩელე ითხოვდა 1.1. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5

<sup>35</sup> იქვე, გვ. 63 და მომდევნო.

<sup>36</sup> იქვე გვ. 65.

თებერვლის №38 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი; 1.2. ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №19 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი; რომელთა საფუძველზეც, შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტსი მიერ მომზადებული ანგარიშები/დასკვნები და რეკომენდაციები და დამსაქმელის ან/და დასაქმებულთათვის გაწეული კონსულტირება იყო არასაჯარო. <sup>37</sup> მოცემულ საქმეზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ - „სასამართლო მხარეთა საყურადღებოდ განმარტავს, რომ სადავოდ გამხდარი სამართლებრივი ნორმების სახელმწიფო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის საფუძველით არაკონსტიტუციურად ცნობა და მათი საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის დადგენა საკონსტიტუციო სასამართლოს და არა საერთო სასამართლოების კომპეტენციაა. შესაბამისად, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს გასაჩივრებული ნორმატიული აქტების - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №19 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის არაკონსტიტუციურობა, რაც ამ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას გამორიცხავს“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული

---

<sup>37</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/19/1241 განჩინებით ძალადაკარგულად იქნა ცნობილი საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის (იმ დროს მოქმედი რედაქცია) პირველ პუნქტთან მიმართებით „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 თებერვლის №38 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების მონიტორინგის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის სიტყვა „არასაჯარო“, „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 იანვრის №19 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების ინსპექტირების 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვა „არასაჯარო“, „შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 დეკემბრის №627 დადგენილებით დამტკიცებული „შრომის პირობების ინსპექტირების 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის სიტყვა „არასაჯარო“.

განმარტება სასამართლომ გააკეთა გადაწყვეტილების მიღებით და განჩინებით საქმეზე წარმოება არ შეუწყვეტია.<sup>38</sup>

### **1.2.3. საქმის წარმოების შეწყვეტა**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26<sup>2</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლო განჩინებით შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ იგი არ აკმაყოფილებს ამ კოდექსის 22-ე–25-ე მუხლებით დადგენილ დასაშვებობის მოთხოვნებს. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას სასამართლო აღნიშნული საფუძვლით წყვეტს საქმის წარმოებას პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები ასევე რეგლამენტირებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსით.

#### **1.2.3.1. საქმის წარმოების შეწყვეტა ერთჯერადი გასაჩივრების უფლების გამოუყენებლობის გამო**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სასამართლო, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, არ მიიღებს სარჩელს ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, თუ მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით არ გამოიყენა ადმინისტრაციული საჩივრის ერთჯერადად წარდგენის შესაძლებლობა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 178-ე მუხლის თანახმად კი, თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო, თუ იქ არსებობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი თანამდებობის პირის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი; ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე წარდგენილ საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტს ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო.

<sup>38</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 სექტემბრის N 3/2866-16 გადაწყვეტილება. აღნიშნული გადაწყვეტილება გაუქმდა სააპელაციო სასამართლოს მიერ, ვინაიდან მოპასუხე ორგანომ, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად, გასცა მოთხოვნილი ინფორმაცია, შესაბამისად აღარ არსებობდა დავის საგანი, რაც დაედო საფუძვლად საქმის წარმოების შეწყვეტას სააპელაციო სასამართლოში და გაუქმდა მოცემული გადაწყვეტილებაც.

დღეს მოქმედი საკანონმდებლო რეგულაციებით, კანონით დადგენილ შემთხვევებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთჯერადი გასაჩივრება წარმოადგენს შემდგომ ამ აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის დასაშვებობის წინაპირობას.<sup>39</sup> რა დროსაც, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს დაინტერესებული პირის სამართლებრივი მდგომარეობის დაცვისა და აღდგენის უზრუნველყოფის გარანტს, მითუფრო იმ პირობებში, თუ დადგინდა, რომ ქვედგომი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საჩივრის ავტორის მიმართ ადგილი ჰქონდა უკანონო მმართველობით ღონისძიებას.<sup>40</sup>

ხსენებული არგუმენტაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საქართველოს მინისტრის ნორმატიული აქტის გასაჩივრების შემთხვევაში. ჩნდება კითხვა, წარმოადგენს თუ არა დაინტერესებული მხარის ვალდებულებას - მინისტრის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტის ერთჯერადი გასაჩივრება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში.

საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მთავრობა საქართველოს კონსტიტუციითა და კანონით დადგენილ ფარგლებში: უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრების, სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულებისა და სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტები.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა სამართლებრივი აქტის ორგვარი გაუქმების სახეს იცნობს. ესენია - აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება და მისი ბათილად ცნობა. ამავდროულად მოცემული მუხლი ვრცელდება როგორც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე ასევე ნორმატიულ აქტზე. თუმცა, მოცემული კანონის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრებისა და სპეციალური დაწესებულებების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების) ხელმძღვანელთა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით. ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს,

<sup>39</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 144; ირმა ხარშილაძე, ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა, სამართლის ჟურნალი N1, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მთავარი რედაქტორი ბესარიონ ზოიძე, 2011, გვ. 182 და მომდევნო.

<sup>40</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განჩინება, საქმე N38/83-16.

რომ მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრებისა და სპეციალური დაწესებულებების (მათ შორის, სპეციალური დანიშნულების გასამხედროებელი დაწესებულების) ხელმძღვანელებისა და სახელმწიფო რწმუნებულების სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.

ცხადია, რომ საქართველოს მთავრობას აქვს კანონით მინიჭებული უფლებამოსილება გააუქმოს მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუმცა, მოცემული მიმართულებით სასამართლო პრაქტიკა არაერთგვაროვანია. ვინაიდან სასამართლო არაერთი პრეცედენტი აჩვენებს იმას, რომ მინისტრის ნორმატიული აქტის გასაჩივრებისას სასამართლო დასაშვებობის წინაპირობად არ მიიჩნევს მის გასაჩივრებას საქართველოს მთავრობაში, როგორც ზემდგომ ორგანოში.<sup>41</sup>

### 1.2.3.2. სარჩელის აღძვრაზე უფლებამოსილი პირი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი დასაშვებია, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას. პირის მიერ სარჩელის აღძვრისას, აუცილებლად უნდა შემოწმდეს ისეთი ელემენტი, როგორცაა ინტერესი, ვინაიდან ინტერესის არ ქონა სარჩელის დაუშვებლად მიჩნევის წინაპირობაა.<sup>42</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. მოცემული მუხლის სასამართლოსათვის მიმართვის წინაპირობად ასახელებს „თავისი“ - საკუთარი უფლებების დაცვას.

ინტერესის ცნების დეფინიციას გარკვეულწილად იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი, რომლის მიხედვით, დაინტერესებული მხარე არის ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომლებთან

<sup>41</sup> ადმინისტრაციული საქმე №3/5957-17 მოსარჩელე - ზ. ი. და სხვები მოპასუხე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინამძღვრად.

<sup>42</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლამე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 124.

დაკავშირებითაც გამოცემულია ან უნდა გამოიცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, აგრეთვე რომლის კანონიერ ინტერესებზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან რეალაქტი.<sup>43</sup> ამიტომაც, რომ საპროცესო სამართალში სარჩელის აღძვრის უფლების (სარჩელზე უფლების) არსებითი ელემენტია, უწინარეს ყოვლისა, თავად უფლების არსებობა მატერიალური შინაარსით, რომლის დაცვის ღირსი ინტერესიც მოსარჩელეს გააჩნია <sup>44</sup> და რომლის არ არსებობაც გამორიცხავს ასეთი დავის შესაძლებლობას.<sup>45</sup>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 14/02/2012 წლის Nბს-1339-1324(კ-11) გადაწყვეტილება/განჩინებაში განმარტა : - „ამდენად, სასამართლოსადმი მიმართვა უკავშირდება მხოლოდ “თავისი” უფლების ან თავისუფლების დაცვის რეალურ საჭიროებას, რის გამოც სასამართლოში სარჩელის აღძვრის პროცესუალური უფლებით სარგებლობს მხოლოდ საამისო, ნამდვილი ინტერესის მქონე პირი და ამასთან, ეს ინტერესი უნდა იყოს კანონიერი. შესაძლებელია, თავისთავად, პირს ჰგონია, რომ ასეთი ინტერესი აქვს და მიმართავს სასამართლოს, მაგრამ პირის ასეთი სუბიექტური განწყობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ობიექტურად იგი მართლაც დაინტერესებულია პროცესის წარმოების თვალსაზრისით. სწორედ აღნიშნული საკითხის გამორკვევას ემსახურება სარჩელის დასაშვებობის ინსტიტუტი ადმინისტრაციულ პროცესში, რომლის მიზანია, კანონით გათვალისწინებულ მთელ რიგ აუცილებელ საკითხებთან ერთად წინასწარ, საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე გაირკვეს, სარჩელის აღძვრას აქვს თუ არა კანონიერი ინტერესი ანუ სარჩელის ბათილად ცნობის მოთხოვნით ფაქტობრივი მიზეზების არარსებობის გამო მის ბათილად ცნობას აქვს თუ არა მნიშვნელობა.

....საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ თვალსაზრისით ინტერესი არ არის სუბიექტური უფლების შემადგენელი ელემენტი, წარმოადგენს მისი დაკმაყოფილების განმაპირობებელი სუბიექტური უფლების წანამდღვარს. ამ თვალსაზრისით სარჩელის აღძვრა შესაძლებელია მოსარჩელის კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების საფუძვლით. ამდენად, ამ საკითხის სწორად გარკვევას უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმისათვის, რომ, ერთი მხრივ, მოსარჩელეს არ წაერთვას ნამდვილი უფლება სარჩელზე და

<sup>43</sup> იქვე. გვ. 127; ნუგზარ სხირტლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე აქტუალიზირებული გამოცემა, თბილისი, GTZ 2005, გვ. 298.

<sup>44</sup> მაია ვაჩაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 132 და მომდევნო.

<sup>45</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები ადმინისტრაციული სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, 2007, გვ. 26.

შესაბამისად, სამართლიან სასამართლოზე და, მეორე მხრივ, შეცდომით არ მოხდეს სარჩელზე მოსარჩელის არარსებული უფლების განხორციელება და ამით გაუმართლებლად არ შეილახოს მოპასუხის ინტერესები და სამართლიან სასამართლოზე მისი შესაბამისი უფლება.“<sup>46</sup>

მაგალითისათვის ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის აღძვრის შემთხვევაში, რელევანტურია არა პირისათვის ასეთი აქტის მიმართ ზოგადი ხასიათის ინტერესი, სურვილი მისი გაუქმების თაობაზე, არამედ ის გარემოება - წარმოადგენს თუ არა ეს აქტი მის უფლებებზე გავლენის მოხდენის ისტორიულ ფაქტს, ანუ მოსარჩელე არის თუ არა სუბიექტი, რომელზეც ვრცელდება გასაჩივრებული ნორმა. მოცემული მოსაზრების თანახმად, შესაძლოა გარკვეული ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვის უფლება დაექვემდებაროს დროში ცვლილებას. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც პირი წარმოადგენდა კონკრეტული ნორმატიული აქტის გავრცელების სუბიექტს თუმცა შეიცვალა მისი სამართლებრივი მდგომარეობა და მან დაკარგა ინტერესი ასეთი აქტის გაუქმების მიმართ.

სარჩელის დასაშვებად მიჩნევისათვის სახეზე უნდა იყოს რეალური ზიანის მიყენების ფაქტი, ხოლო მოსარჩელის მხრიდან თუ მოსალოდნელ ზიანზეა აქცენტი გაკეთებული, მაშინ შესაბამისად უნდა მოხდეს სარჩელის დაზუსტება და არსებითად განსხვავებული სარჩელის ფორმით უნდა ჩამოყალიბდეს.<sup>47</sup>

### 1.2.3.3. გასაჩივრების ვადა

თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისად ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გაცნობიდან, ასევე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანისათვის დადგენილი ვადის გასვლიდან 1 თვის ვადაში, ხოლო ნორმატიული აქტის შემთხვევაში – უშუალო ზიანის მიყენებიდან 3 თვის ვადაში.

განსხვავებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნისგან, ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის

<sup>46</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14/02/2012 წ. განჩინება საქმის ნომერი ბს-1339-1324(კ-11)

<sup>47</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა, განჩინება №ბს-690-277(კ-05) 18 იანვარი, 2006 წ.



თაობაზე სარჩელის აღძვრის ვადა აითვლება არა აქტის ოფიციალური გაცნობიდან/გამოქვეყნებიდან, არამედ პირდაპირი, რეალური, ზიანის მიყენების მომენტიდან.<sup>48</sup> ხოლო თავად გასაჩივრების ვადა სამჯერ უფრო ხანგრძლივია ვიდრე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში.

კანონმდებლის ასეთი მიდგომა გამართლებულია, ვინაიდან ნორმატიული აქტის ბუნებიდან გამომდინარე, მისი ბათილად ცნობის ინტერსი სუბიექტს შეიძლება გაუჩნდეს დროის გარკვეულ მომენტში, შესაბამისი სამართლებრივი მდგომარეობის დადგომისას. ბუნებრივია, ასეთ დროს ათვლის წერტილი უნდა იყოს ინტერესის წარმოშობის მომენტი.

აქვე, დამატებით აღარ შევჩერდებით ისეთი ელემენტის განმარტებაზე, როგორცაა ზიანის მიყენება, ვინაიდან აღნიშნული განხილულ იქნა ნაშრომის წინა ნაწილში.

მნიშვნელოვანი და პრობლემატური გარემოება, ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის აღძვრისას, არის კანონის პრაქტიკაში მოქმედებისა და განმარტების ბუნდოვანება. მართალია კანონი გასაჩივრების ვადის დაწყებას ითვალისწინებს ზიანის მიყენებიდან და არა აქტის გაცნობის მომენტიდან, თუმცა ასეთ დროს ღიად რჩება საკითხი - ადამიანის უფლებასთან დაკავშირებით მასზედ, რომ მიიღოს შესაბამისი ორგანოსაგან განმარტება თუ რის საფუძველზე მოხდა მისთვის უფლების შეზღუდვა, რათა შეძლოს სწორედ ასეთი სამართლებრივი საფუძვლის მიმართ შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

ერთის მხრივ, ყველა სამართალურთიერთობა არ ითვალისწინებს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და ასეთ დროს თავად დაინტერესებულ მხარეზე გადადის ტვირთი იკვლიოს სწორედ იმ ნორმატიული აქტის შესახებ, რაც გახდა მისი კანონიერი ინტერესისათვის ზიანის მიყენების წინაპირობა და სწორედ ამიტომ განსაზღვრავს კანონი სარჩელის წარდგენაზე ხანდაზმულობის ვადის საწყის მომენტად ზიანის მიყენებას და ადგენს გაცილებით ხანგრძლივ ვადას სასამართლოსათვის მიმართვისათვის ვიდრე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შემთხვევაში. თუმცა, უპრიანია, რომ გასაჩივრების ვადის ათვლა დაუკავშირდეს იმ მომენტს, როდესაც მხარისათვის ცნობილი გახდა თუ კონკრეტულად რომელი ნორმატიული აქტი გახდა მისი კანონიერი ინტერესის, უფლების შეზღუდვის საფუძველი,

---

<sup>48</sup> მათა ვაჩაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 135.

რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ასეთი განმარტების გაცემის მომენტს.

## **2. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის განხილვა:**

### **2.1 გასაჩივრებული ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეჩერება**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 30<sup>1</sup> მუხლი ადგენს, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, სასამართლოს შეუძლია სარჩელის აღძვრისას მხარის შუამდგომლობით შეაჩეროს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედება, თუ არსებობს დასაბუთებული ეჭვი ამ აქტის კანონიერების თაობაზე ან თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა....

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით დავისგან განსხვავებით, ნორმატიული აქტის, მისი ნაწილის, ბათილად ცნობის მოთხოვნით სასამართლოსათვის მიმართვა არ იწვევს მისი მოქმედების ავტომატურ შეჩერებას. აღნიშნული საკანონმდებლო რეგულაცია გამომდინარეობს ნორმატიული აქტის ბუნებიდან და მისი მნიშვნელობიდან.

მხარე უფლებამოსილია იშუამდგომლოს ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების თაობაზე, რის შემდეგადაც სასამართლო მსჯელობს აღნიშნულის თაობაზე. შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველია - ა) დასაბუთებული ეჭვის არსებობა აქტის კანონიერების თაობაზე ან ბ) თუ მისი გადაუდებელი აღსრულებით პირს მიადგება არსებითი ზიანი ან გ) შეუძლებელი გახდება პირის კანონიერი უფლებისა და ინტერესის დაცვა.

შესაბამისად, ფაქტობრივად, სასამართლოს გარკვეულწილად უწევს შეაფასოს შუამდგომლობის ავტორის შანსები, დავის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის შესახებ. ამავდროულად ბუნდოვანია თავად მტკიცების სტანდარტი - თუ რას ნიშნავს დასაბუთებული ეჭვი, ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს თუ რას გულისხმობს ზემოხსენებული სტანდარტი.

სასამართლო ნორმატიული აქტის შეჩერების თაობაზე მსჯელობს მხოლოდ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, რომელიც დასაბუთებული უნდა იყოს და უნდა არსებობდეს ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების

გადაუდებელი აუცილებლობა.<sup>49</sup> ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა კოლეგიის 2002 წლის 20 თებერვლის 3გ/ად-71-კ-ს-01-ი განჩინება, რომლითაც განიმარტა, რომ - „ნორმატიული აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან იგი შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს და შესაბამისად, მისი სოციალური დატვირთვაც უფრო დიდია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველყოფის სახით ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას ნათელი უნდა იყოს ამ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა, უნდა არსებობდეს დასაბუთებული ექვი ნორმატიული აქტის კანონიერების თაობაზე ან უზრუნველყოფის გამოუყენებლობა არსებით ზიანს უნდა აყენებდეს მხარეს ან შეუძლებელს ხდიდეს მისი კანონიერი უფლებების დაცვას ან გადაწყვეტილების აღსრულებას“.<sup>50</sup> საკასაციო სასამართლომ აქვე განმარტა - ამასთან, საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილება \_ სემეკ-ის 2001 წლის 14 ნოემბრის 12 დადგენილების სადავო ნორმის ბათილად ცნობა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, გამოიწვევს აქტის ძალაში შესვლიდან წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას, რაც შესაძლებელს გახდის მიყენებული ზიანის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ანაზღაურებას მომატებული ტარიფით გადახდილი თანხის დაბრუნების ან სამომავლოდ გადასახდელ თანხაში ჩათვლის გზით. ამიტომ, გარდა მოთხოვნის დაუსაბუთებლობისა, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სარჩელის უზრუნველყოფის გამოუყენებლობა არ გამოიწვევს მხარისათვის არსებითი ზიანის მიყენებას და არც შეუძლებელს გახდის შემდგომში კანონიერი უფლებების დაცვას ან გადაწყვეტილების აღსრულებას.“<sup>51</sup>

თბილისის სააპელაციო სასამართლომ ერთერთ საქმეზე განმარტა : - „ნორმატიული აქტის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ვინაიდან იგი შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს და შესაბამისად, მისი სოციალური დატვირთვაც უფრო დიდია, ნორმატიული აქტის მოქმედების შეჩერების საკითხის გადაწყვეტისას ნათელი უნდა იყოს ამ უზრუნველყოფის ღონისძიების აუცილებლობა, უნდა

<sup>49</sup> ინგა თოდრია, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 171 და მომდევნო.

<sup>50</sup> იქვე.

<sup>51</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა 20/02/2002 წ. განჩინება, N 3გ/ად-71-კ-ს-01.

არსებობდეს დასაბუთებული ექვი ნორმატიული აქტის კანონიერების თაობაზე ან უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა არსებით ზიანს უნდა აყენებდეს მხარეს ან შეუძლებელს ხდიდეს მისი კანონიერი უფლებების დაცვას ან გადაწყვეტილების აღსრულებას.

მოცემულ შემთხვევაში, საქალაქო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებანი და წარმოდგენილი მასალები არ ქმნის საფუძველს შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად. სააპელაციო პალატაც მიიჩნევს, რომ სამართალწარმოების ამ ეტაპზე შეუძლებელია გასაჩივრებული ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ ექვის დასაბუთებულობის დადგენა იმ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით და იმ მოტივებზე დაყრდნობით, რაც მოსარჩელის მიერ მითითებულ იქნა სარჩელში. აღნიშნულის გამო მოსარჩელეს სწორად ეთქვა უარი გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერებაზე. სასამართლომ ყურადღება მართებულად გაამახვილა კანონის დანაწესზე, რომლის მიხედვითაც, ის, რომ სადავოდ გამხდარი აქტის მოქმედება არ უნდა შეჩერდეს - არის კანონით დადგენილი წესი, ხოლო აქტის შეჩერება - გამონაკლისი, რაც სათანადო საფუძველების უტყუარად დადასტურებისას შეიძლება გამოიყენოს სასამართლომ, როგორც სასწრაფო და გადაუდებელი ხასიათის ღონისძიება. ამგვარი აუცილებლობა კი, სააპელაციო პალატის მოსაზრებითაც, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება.“<sup>52</sup>

## 2.2. პროცესში მონაწილე სუბიექტები

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-14 მუხლი განსაზღვრავს რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლით გათვალისწინებული პირების გარდა, ადმინისტრაციულ პროცესში მონაწილეობს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომელმაც გამოსცა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან განახორციელა იურიდიული მნიშვნელობის მქონე რაიმე ქმედება. შესაბამისად, საპროცესო კოდექსი ადგენს პირობას, რომ დავაში აუცილებლად უნდა გვევლინებოდეს ადმინისტრაციული ორგანო მხარედ.<sup>53</sup>

<sup>52</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის განჩინება, საქმე №330310117002194655 (38/162-18)

<sup>53</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლამე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 225.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 79-ე მუხლი კი ადგენს, რომ სასამართლო საქმის განხილვას შეუდგება დაინტერესებული პირების განცხადებით. მხარეებად სასამართლოში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები. ხოლო, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მხარეებად შეიძლება იყვნენ ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები.<sup>54</sup>

თავად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VI თავი განსაზღვრავს, თუ ვინ არიან მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში. მოცემული თავის დასახელებიდანაც<sup>55</sup> ჩანს, რომ კანონმდებლობით გამიჯნულნი არიან მხარეები და ასევე ამ თავით განმტკიცებული ინსტიტუტი - სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae).

თავად სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტი გამორიცხავს მისი მხრიდან რომელიმე სუბიექტის მხარდაჭერას. დასახელებიდან გამომდინარე, იგი არის არა რომელი მხარის ინტერესების გამტარებელი, არამედ სასამართლოსათვის ობიექტური ინფორმაციისა და მოსაზრების მიმწოდებელი.<sup>56</sup> სწორედ აღნიშნული პრიციპი არის გაწერილი ამერიკის უზენაესი სასამართლოს წესების მიხედვით, რომლის თანახმადაც, სასამართლოს მეგობრის მხოლოდ ის მოსაზრება ექვემდებარება გათვალისწინებას, რომელიც არის ობიექტური და მიმართულია სასამართლოსათვის დახმარებისკენ და გაკეთებულია ისეთ დეტალებზე, რაზეც მხარეები არ აქცევენ სასამართლოს ყურადღებას.<sup>57</sup>

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VI თავი პროცესის მონაწილე სუბიექტებად ასევე განსაზღვრავს მესამე პირებს. მესამე პირის ინსტიტუტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სამართალწარმოების მიმდინარეობისას, გამომდინარე ნორმატიული აქტის არსიდან.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ადგენს საქმეში მესამე პირების ჩაბმის წესს. რომლის თანახმადაც, მესამე პირი საქმეში

---

<sup>54</sup> იქვე გვ. 226; მიაა ვაჩაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 57 და მომდევნო; თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2007, გვ. 143.

<sup>55</sup> ეწოდება - „მხარეები ადმინისტრაციულ პროცესში; სასამართლოს მეგობარი“.

<sup>56</sup> სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (Amicus curiae) როლი სამართალწარმოების პროცესში ნაშრომი მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი გვ. 11 და მომდევნო.

<sup>57</sup> RULES OF THE Supreme Court of the United States Rule 37. Brief for an Amicus Curiae ADOPTED SEPTEMBER 27, 2017 EFFECTIVE NOVEMBER 13, 2017 <https://www.supremecourt.gov/filingandrules/2017RulesoftheCourt.pdf>

შეიძლება ჩაერთოს საკუთარი, მხარის, ან სასამართლოს ინიციატივით, რაზეც გამოდის სასამართლოს განჩინება.

„საპროცესო კანონმდებლობის თანახმად (ასკ-ის მე-16 მუხ.), არასავალდებულო მოწვევის მესამე პირი არ არის განსახილველი დავის უშუალო მონაწილე, თუმცა საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს ამ პირის სამართლებრივ ინტერესზე (სასკ-ის მე-16 მუხლის 1-ლი ნაწილი), ხოლო სავალდებულო მოწვევის მესამე პირის შემთხვევაში (სასკ-ის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილი) უნდა იკვეთებოდეს არამხოლოდ პირთა სამართლებრივ ინტერესზე ზემოქმედება, არამედ გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვრებოდეს მესამე პირთა უფლება-მოვალეობანი. სავალდებულო მოწვევის მესამე პირი, განსახილველი სამართალურთიერთობის უშუალო მონაწილე უნდა იყოს, მას თავისი დამოუკიდებელი სამართლებრივი ინტერესი უნდა გააჩნდეს დავის მიმართ, განსახილველ დავაზე მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანა უნდა იყოს შესაძლებელი. სწორედ ასეთი სავალდებულო მოწვევის მესამე პირი სასკ-ის მე-16 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად სარგებლობს მოსარჩელის ყველა უფლებით, მათ შორის საკასაციო საჩივრის შეტანის უფლებით“.<sup>58</sup>

ამასთან, საქმეში მესამე პირების სავალდებულო მოწვევა სასამართლოს ვალდებულებას წარმოადგენს; ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად საქმეში მარტივი ფორმით მესამე პირის ჩაბმა, განეკუთვნება სასამართლოს უფლებამოსილებას და არა ვალდებულებას. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება სასამართლოს მიხედულებაზეა დამოკიდებული.<sup>59</sup>

სასამართლოს მხრიდან, ვალდებულების დარღვევა და სავალდებულო მოწვევის მესამე პირის საქმეში არ ჩართვა, შესაძლოა წარმოადგენდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს. აღნიშნული გამომდინარეობს თავად ამ მესამე პირის კონსტიტუციური უფლების - სასამართლოსათვის მიმართვის უფლების დარღვევიდან, ვინაიდან ასეთი სუბიექტის უფლებამოსილებანი განსაზღვრულია ზუსტად იმდაგვარად, როგორც

<sup>58</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა N8ს-145-138(კ-13) 12 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი, - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე 2018, N5 გვ. 70 და მომდევნო.

<sup>59</sup> იქვე გვ. 94. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა N8ს-756-748(2კს-16) 24 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი

მოსარჩელისა. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ ერთ ერთ საქმეში (#ბს-500-493(3კ-კს-15) სწორედ მესამე პირის კონტექსტში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება მოიშველია - „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენციის 6.1 მუხლი ყველას ანიჭებს უფლებას აღძრას სასამართლოს წინაშე მის უფლებებსა თუ ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი საჩივარი. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ხელმისაწვდომობის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია, იყოს შეზღუდვის საგანი, ვინაიდან თავისი სამართლებრივი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან მოწესრიგებას, გამოყენებული შეზღუდვა არ უნდა იყოს იმგვარი ხასიათის, რომ თავისთავად უფლების არსი დაირღვეს (CASE OF PHILIS v. GREECE).“<sup>60</sup>

აღსანიშნავია, რომ ხსენებული მუხლი ასებითად იმეორებს გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 65-ე პარაგრაფს, რომელიც ასევე გამიჯნავს მესამე პირის სახეებს და საუბრობს მესამე პირებზე, არასავალდებულო და სავალდებულო მოწვევით, რომლის თაობაზედაც სასამართლოს მიერ მხოლოდ საერთო გადაწყვეტილების გამოტანაა შესაძლებელი (notwendige Beiladung) - მოწვევის წესსა და პროცედურაზე.<sup>61</sup>

აღსანიშნავია, რომ ნორმატიული აქტის ბუნება სწორედ მის სუბიექტთა ფართო წრეზე გავრცელებას გულისხმობს. შესაბამისად, მოსარჩელის მიერ აღძრული სარჩელის მიმართ შესაძლოა კანონისმიერი ინტერესი ჰქონდეს უამრავ ადამიანსა თუ იურიდიულ პირს. თუმცა ნორმატიული აქტის თაობაზე დავისას, სასამართლო თავს იკავებს ასეთი პირების პროცესზე მოწვევისგან. ბუნებრივია, ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელიც არის ყველა სუბიექტის მოძიება და აღნიშნული ფაქტობრივად გააჭიანურებდა და შეუძლებელს გახდიდა დროული და ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელებას.

თუმცა, სასამართლო პრაქტიკაში, განსხვავებულია მიდგომა სახელმწიფო ორგანოების საქმეში მოწვევასთან დაკავშირებით. მაგალითისთვის შეიძლება განხილულ იქნას შემთხვევები, როდესაც გასაჩივრებული საქართველოს მთავრობის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი. ასეთ დროს სასამართლო ხშირად იწვევს სავალდებულო მოწვევის წესით იმ ორგანოს, რომელიც არის

<sup>60</sup> იქვე გვ. 85. - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა Nბს-500-493(3კ-კს-15) 29 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი

<sup>61</sup> <https://www.gesetze-im-internet.de/vwgo/> - (26.06.2019 წ.)

მთავრობის მიერ მიღებული ნორმატიული აქტის ინიციატორი <sup>62</sup> „საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის N77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს მთავრობის რეგლამენტის შესაბამისად. <sup>63</sup> აღნიშნული მიდგომა გამომდინარეობს თავად საქართველოს მთავრობის როგორც კოლექტიური ორგანოს არსიდან, რომელიც დაკომპლექტებულია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, კომპეტენტური ორგანოების ხელმძღვანელი პირებით. ასეთ დროს კი სასამართლოსათვის, მათ შორის მისი ინკვიზიციური ბუნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია შესაბამისი მტკიცებულებები და ახსნა-განმარტებები მიიღოს უშუალოდ კომპეტენტური ორგანოსგან.

### **2.3. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური კანონიერების შემოწმება**

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. მოცემულ ეტაპზე შევჩერდებით ნორმატიული აქტის კანონიერების ისეთ წინაპირობაზე, როგორცაა ფორმალური კანონიერება.

ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს მთელ რიგ ფორმალურ მოთხოვნებს: ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისთვის აუცილებელია, გამომცემო როგანო იყოს უფლებამოსილი. ნორმატიული აქტი უნდა იყოს მიღებული შესაბამისი ადმინისტრაციული წარმოების შედეგად. ნორმატიულ აქტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფორმა და უნდა შეიცავდეს შემდეგ რეკვიზიტებს: ა) ნორმატიული აქტის სახე; ბ) ნორმატიული აქტის სათაური; გ) ნორმატიული აქტის მიღების (გამოცემის) თარიღი და ადგილი (თუ ნორმატიულ აქტში შეტანილია ცვლილება ან დამატება, მათი შეტანის თარიღიც); დ) ნორმატიული აქტის ძალაში შესვლის თარიღი და აქტის მოქმედების ვადა (თუ განსაზღვრული ვადითაა მიღებული); ე) უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერა; ვ) ნორმატიული აქტის

---

<sup>62</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 აპრილის საქმე N 3/955-18 განჩინება; თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 7 ივნისის განჩინება საქმე N3/955-18.



მიმღები (გამომცემი) ორგანოს მიერ მინიჭებული სარეგისტრაციო ნომერი, ხოლო ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში შეტანის შემდეგ – აგრეთვე სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა აკმაყოფილებდეს „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს როგანული კანონისა და „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ მოთხოვნებს. საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიულ აქტებზე გამოსახული უნდა იყოს საქართველოს სახელმწიფო გერბი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა (თანამდებობის პირთა) ნორმატიულ აქტებზე – საქართველოს მცირე სახელმწიფო გერბი და შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის გერბი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამავდროულად, ნორმატიული აქტი უნდა იყოს გამოქვეყნებული კანონმდებლობით დადგენილი წესით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საჯარო გამოქვეყნება არის მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობა. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა გამოქვეყნდეს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში.<sup>64</sup> ამავდროულად, ნორმატიული აქტი უნდა იქნას „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული.<sup>65</sup>

უფლებამოსილების ნაწილში უნდა აღინიშნოს, რომ კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ იმ უფლებამოსილებას, რაც მას კანონის საფუძველზე აქვს მინიჭებული. სწორედ ამ უფლებამოსილების მიხედვით განისაზღვრება მისი პასუხისმგებლობის საკითხიც.<sup>66</sup>

აღსანიშნავია, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის (458 მიღების თარიღი: 29/10/1996 ძალადაკარგულია 01/01/2010) მე-18 მუხლი აღგენდა, რომ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლებოდა მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ იყო გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. მასში მითითებული უნდა ყოფილიყო, რომელი საკანონმდებლო

---

<sup>64</sup> პაატა ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე აქტუალიზირებული გამოცემა, თბილისი, GTZ 2005, გვ. 167 და მომდევნო.

<sup>65</sup> პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, გვ. 85.

<sup>66</sup> სერგი ჯორბენაძე, არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, სამეცნიერო რედაქტორი: მაია კოპალეიშვილი, ადმინისტრაციული სამართალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი 2/2016, თბილისი, GIZ, 2016, გვ. 104.

აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი. აღნიშნული წესიდან გამონაკლისს წარმოადგენდა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება, რომელიც იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკანონმდებლო აქტით შესაბამისი საკითხი არ არის მოწესრიგებული, შესაძლოა ყოფილიყო გამოცემული.

დღეის მდგომარეობით მოქმედი „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმდებარე (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა მიღებული (გამოცემული) იგი.

ნათელია, რომ კანონმდებლის მიდგომა ამ ნაწილში შენარჩუნებულია და ნორმატიული აქტის გამოცემას უშვებს მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებში, როდესაც კანონი პირდაპირ ითვალისწინებს ასეთ პირობას.

ხსენებული ორგანული კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს მინისტრის ბრძანება შეიძლება გამოიცეს მხოლოდ საქართველოს საკანონმდებლო აქტით, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებსა და ფარგლებში. საქართველოს მინისტრის ბრძანებაში მითითებული უნდა იყოს, რომელი ნორმატიული აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად გამოიცა იგი.

ხსენებული შემთხვევის კალსიკური მაგალითია „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-17 მუხლის მე-3 პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, მისი შევსებისა და წარდგენის წესი განისაზღვრება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. თუმცა, განსხვავებული სურათია მაგალითად, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შემთხვევაში, სადაც ვკითხულობთ, რომ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური

დაცვის სამინისტრო (შემდგომ – სამინისტრო), რომელიც მისი კომპეტენციისათვის მიკუთვნებულ საკითხებზე შეიმუშავებს და გამოსცემს შესაბამის სამართლებრივ აქტებს, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

ხსენებული მუხლი ქმნის ზოგად წინაპირობას, რომლის საფუძველზეც სამინისტროზე დელეგირებულია უფლებამოსილება სამართლებრივი აქტების მიღების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ხსენებული დათქმა გარკვეულწილად ბუნდოვანებას წარმოქმნის, ვინაიდან სამინისტრო ისედაც არის უფლებამოსილი და ვალდებულია მიიღოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული კომპეტენციის განხორციელებისას სამართლებრივი აქტები, თუმცა ნორმატიული აქტი უნდა გამოიცემოდეს კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, რაც უნდა გამომდიანრებოდეს ცალკეული სამართალურთიერთობის მარეგულირებელი კანონის დათქმიდან. ხსენებული ზოგადი ჩანაწერი კი საფუძველად უდევს მინისტრის რიგ ბრძანებებს.<sup>67</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფორმალური კანონიერება გულიხმობს იმ გარემოების შემოწმებას აქტის გამოცემაზე იყო თუ არა ორგანო უფლებამოსილი, ხოლო დავა იმის შესახებ, ამ უფლებამოსილების ფარგლების შესაბამისად იქნა თუ არა გამოცემული სადავო აქტი, ან ხომ არ გასცდა ადმინისტრაციული ორგანო კანონით დადგენილ ფარგლებს, ექვემდებარება აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმების ნაწილს.<sup>68</sup>

როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. კანონი დათქმას აკეთებს აქტის (ასევე ნორმატიული აქტის) ბათილად ცნობის ისეთ საფუძველზე, როგორცაა გამოცემისა და მომზადების თაობაზე კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების არსებითი დარღვევა. აქვე, ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ

<sup>67</sup> იხ. „საექიმო სპეციალობათა პროფესიული კომპეტენციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 01-8/ნ 2015 წლის 30 მარტი ქ. თბილისი

<sup>68</sup> იხ. სააკელაციო სასამართლოს მოტივაცია - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინება საქმე Nზს-1403(კ-18).

სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ნორმატიული აქტების მომზადების წესთან დაკავშირებით „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის პირველი მუხლი ადგენს, - თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ნორმატიული აქტების (გარდა კოლექტიური ორგანოს ნორმატიული აქტისა) მომზადებისა და მიღების (გამოცემის) მიმართ არ გამოიყენება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახეები. კოლექტიური ორგანოს ნორმატიული აქტის მომზადებისა და მიღების (გამოცემის) წესები განისაზღვრება ამ კანონით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VII თავით და სხვა საკანონმდებლო აქტებით. ამავდროულად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების მომზადების, მიღების (გამოცემის), გამოქვეყნებისა და მოქმედების წესი განისაზღვრება საქართველოს კონსტიტუციური კანონით, ამ კანონით, მათი კონსტიტუციებითა და მათ საფუძველზე მიღებული (გამოცემული) შესაბამისი ნორმატიული აქტებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 103-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი კი ადგენს, რომ თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კოლექტიური ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღებისას გამოიყენება საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესები.

საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით საქართველოს უზენაესი სასამართლო განმარტავს, - „საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების სავალდებულო ეტაპს წარმოადგენს ზეპირი მოსმენის გამართვა (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 120-ე მუხ.), ზეპირი მოსმენის გამართვა არ არის დამოკიდებული მოსაზრებების წარდგენაზე, უკანასკნელი შეადგენს დაინტერესებული პირის უფლებას და არა ვალდებულებას. დამკვეთის მიერ საინფორმაციო დაფის (ბანერის) გამოკვრა, საინფორმაციო დაფაზე დაინტერესებული პირისათვის განცხადების მიღებიდან 20 დღის განმავლობაში ნებართვის გამცემ ორგანოში განმარტების მიღების და საკუთარი მოსაზრებების წარდგენის უფლება (სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი “მშენებლობის ნებართვის შესახებ” კანონის 8.1 მუხლის “ვ” ქვეპუნქტი) არ ცვლის ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IX თავით განსაზღვრული ზეპირი მოსმენის

გამართვის, ზეპირი მოსმენის გამართვის შესახებ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით დაინტერესებული პირების შეტყობინების ვალდებულებას. სააპელაციო პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სადავო ბრძანების გამოცემისას ზეპირი მოსმენის დღე ვერ იქნებოდა განსაზღვრული, ვინაიდან იგი დამოკიდებული იყო დაინტერესებული პირების მიერ წერილობითი მოსაზრებების წარდგენაზე, არ ემყარება საკანონმდებლო საფუძველს. სადავო ბრძანებით სწორედ წინასწარი ზეპირი მოსმენის გამართვის თარიღი უნდა განსაზღვრულიყო. საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 03.07.06წ. ა-წ360.ბ ბრძანების ტექსტში მითითებული არ არის ზეპირი მოსმენის გამართვის თვე, რიცხვი და საათი (ტ.1, ს.ფ.21). შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუსაზღვრია საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისას გასამართი ზეპირი განხილვის ადგილი და თარიღი, მოსმენის გამართვის დრო, ამდენად ხსენებულ აქტში არ არის დადგენილი ის, რასაც ემსახურებოდა აღნიშნული აქტის გამოცემა. შესაბამისად, კასატორები მოკლებული იყვნენ სადავო აქტების გამოცემის დროს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შესაძლებლობას მონაწილეობა მიეღოთ საჯარო განხილვაში, ფაქტობრივად ადგილი არ ჰქონია საჯარო წარმოების ჩატარებას, ადმინისტრაციულ ორგანოს არ შეუსრულებია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 115.2 მუხლის მოთხოვნა მშენებლობის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას საჯარო ადმინისტრაციული წარმოებისათვის დადგენილი წესების გამოყენების შესახებ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველს ქმნის.“<sup>69</sup>

#### **2.4. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შემოწმება**

ნორმატიული აქტი, მატერიალური კუთხით კანონიერად ჩაითვლება თუკი იგი გამოცემულია კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში და ამავდროულად იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.<sup>70</sup>

<sup>69</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმის ნომერი ბს-167-161(კ-10)

<sup>70</sup> პაატა ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე აქტუალიზირებული გამოცემა, თბილისი, GTZ 2005, გვ. 169 და მომდევნო; პაატა ტურავა,

მატერიალური კანონიერების ჭრილში, იმ საკითხის გასარკვევად თუ რამდენად იყო ესა თუ ის ნორმატიული აქტი კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული უნდა შემოწმდეს არა ის გარემოება ზოგადად ჰქონდა თუ არა აქტის გამომცემს ასეთი უფლებამოსილება (ფორმალური კანონიერების კრიტერიუმი), არამედ შესწავლას უნდა დაექვემდებაროს საკითხი სწორედ ასეთი სახითა და შინაარსით რამდენად დასაშვებია კანონის საფუძველზე აქტის გამოცემა.

ადმინისტრაციულ საქმეში Nბს-1403(კ-18) მოსარჩელე მხარე ითხოვდა სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2013 წლის 23 აგვისტოს მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მისაღებად ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ წარმოსადგენი ქონებრივი დეკლარაციების ფორმების დამტკიცების თაობაზე N7 დადგენილების N2 დანართი და N3 დანართის ბათილად ცნობას, რომელთა საფუძველზეც განისაზღვრა ის ინფორმაცია, რაც უნდა აისახოს დეკლარაციაში და შეეხება ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივ მდგომარეობას (დანართი N2) და ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის საწესდებო კაპიტალს, აქტივების საკუთრებასა და მათ წარმომავლობას(დანართი N3)

მოცემულ საქმეში მოსარჩელეთა არგუმენტაცია ეყრდნობოდა მათ შორის იმ გარემოებას, რომ კომისიამ თვითნებურად გააფართოვა კანონით გათვალისწინებული შემადგენლობა და დაუწესა იურიდიულ პირებს იმაზე მეტი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, ვიდრე ამას კანონი ითვალისწინებდა. შესაბამისად, კასატორებისთვის გაუგებარია რა ლოგიკით არის კომისიის ქმედება კანონიერი, თუ ამას კანონი არ ითვალისწინებდა.

მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლოს განმარტების თანახმად, ამდენად, საკანონმდებლო აქტის საფუძველზე დადგინდა, რომ მაუწყებლობის სფეროში ლიცენზიის მაძიებელმა განცხადებას უნდა დაურთოს, ფიზიკური პირის შემთხვევაში ამ პირისა და მისი ოჯახის წევრების ქონებრივი დეკლარაცია და იურიდიული პირის შემთხვევაში - ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ, მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაცია. საგულისხმოა, რომ საკანონმდებლო ნორმა, მართლაც, არ შეიცავს იმ ინფორმაციის მკაცრად განსაზღვრულ ჩამონათვალს, რასაც ქონებრივი დეკლარაცია უნდა

---

ნათია წკეკლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2010, გვ. 87.

შეიცავდეს, თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ ნორმაგამოყენებითი კონტროლის განხორციელების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ის საკანონმდებლო დანაწესი, რომლითაც კომისიას ენიჭება უფლებამოსილება, კანონის მიზნებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს ქონებრივი დეკლარაციის ფორმების დამტკიცება.

ხსენებული მიდგომა გაიზიარია უზენაესმა სასამართლომ და განმარტა: - „საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემულია „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-3 პუნქტის „დ<sup>2</sup>“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლითაც ლიცენზიის მამიებელი იურიდიული პირისათვის დადგინდა დამატებითი ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება, რაც განსაზღვრულია შემდეგი სახით: „ცნობა განცხადებული საწესდებო კაპიტალისა და მისი განაღდებული ნაწილის შესახებ, ცნობა აქტივებისა და პასივების შესახებ, ინფორმაცია საწესდებო კაპიტალისა და აქტივების საკუთრებისა და წარმოშობის შესახებ, მნიშვნელოვანი წილის მფლობელ პარტნიორთა/აქციონერთა ქონებრივი დეკლარაცია“. საქმეში დაცული მასალებით და გასაჩივრებული ნორმატიული აქტით არ დასტურდება კასატორების მიერ მითითებული გარემოება, რომ მოპასუხე სადავო ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემისას გასცდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს და მაუწყებლებისგან მოითხოვა იმაზე მეტი ინფორმაცია ვიდრე კანონით განსაზღვრული უფლებამოსილება ითვალისწინებდა.“<sup>71</sup>

მოცემული მსჯელობა სრულ თანხვედრაშია, როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან, ასევე იურიდიულ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებებთან, რომლის თანახმადაც, ნორმატიული აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს ხელთ არსებული მმართველობის განხორციელების ინსტრუმენტი, რომელიც გამოიცემა კანონის შესაბამისად, მის საფუძველზე და მის აღსასრულებლად.<sup>72</sup>

შესაბამისად, ნორმატიული აქტი წარმოადგენს სამართალურთიერთობის მარეგულირებელ ისეთ მოცემეულობას რაც გამოყენებადია კანონმდებლობასთან ერთად. ხოლო თავად ნორმატიული აქტის გამოცემის საჭიროება ცხადია გამომდინარეობს იქიდან, რომ კანონით დადგენილი უფლებამოვალეობანი და სტანდარტები ასახული და კონკრეტიზირებულ

<sup>71</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინება საქმე Nზს-1403(კ-18).

<sup>72</sup> პაატა ტურავა, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, მეორე აქტუალიზირებული გამოცემა, თბილისი, GTZ 2005, გვ. 166.

იქნას კანონქვემდებარე აქტებში, რის საფუძველზეც, შესაძლებელია სწორედ კანონის აღსრულებისა და იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ცხადია, რომ ასეთ დროს კანონში შესაძლოა არსებობდეს ისეთი სივრცე რაც დაურეგულირებელია ან/და იმდენად მცირედ რეგულაციებს ადგენს კანონი, რომ აუცილებელია ხშირ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოზე დელეგირებულ იქნას ისეთი უფლებამოსილება, რაც გულისხმობს საკითხის მოწესრიგებას დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. ასეთ დროს, ბუნებრივია ადმინისტრაციული ორგანო სარგებლობს გარკვეული მიხედულების ფარგლებით, თუმცა იგი არამხოლოდ უფლებამოსილია, რომ „ისარგებლოს“ კანონით მინიჭებული თავისუფალი არეალით, არამედ ვალდებულია დაიცვას საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების მარეგულირებელი კანონ(ებ)ი, ხოლო სასამართლო ვალდებულია შეამოწმოს ასეთი რეგულაციის კანონმდებლობასთან შესაბამისობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლი იქნებოდა ილუზორული.<sup>73</sup>

„საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმების უმნიშვნელოვანეს თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მათი შემოღება ხშირად თავად აღმასრულებელი ხელისუფლების სუბიექტების მიერ, სახელმწიფო-მმართველობითი საქმიანობის პროცესში და მისი მიზნების მისაღწევად ხორციელდება. მოქმედი კანონმდებლობით შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოებისათვის სამართლებრივი ნორმების დამოუკიდებელი გამოცემის, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების უფლებამოსილების მინიჭება არის ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოს კომპეტენციის უმნიშვნელოვანესი ელემენტი. მოთხოვნილება ეფექტურ მმართველობაში ობიექტურად განაპირობებს მის აღჭურვას ნორმის დამდგენი უფლებამოსილებებით. ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიღების (გამოცემის) უფლებამოსილება თავისი არსით არის კანონმდებლის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გადაცემული სამართალშემოქმედების უფლებამოსილება. ნებისმიერი სამართლებრივი ნორმა, მათ შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმა, წარმოადგენს სამართალშემოქმედებით აქტს. ამასთანავე, რადგან აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების ძირითად ფუნქციას წარმოადგენს სამართალშეფარდებითი საქმიანობა, მათი ნორმაშემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა იმავე მიზანს ისახავს. ვინაიდან

---

<sup>73</sup> სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია - საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინება საქმე Nბს-1403(კ-18); ქეთევან ერემაძე "ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში", გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013, გვ. 81.



აღმასრულებელი ხელისუფლების ძირითადი ფუნქცია სამართალგამოყენებითი, ნორმაშეფარდებითი საქმიანობაა, ადმინისტრაციული ორგანოების ნორმაშემოქმედებითი ხასიათის საქმიანობა მხოლოდ ამ მიზანს ემსახურება და ამ ფუნქციით არის დეტერმინირებული. ამდენად, კანონქვემდებარე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ნორმები სამართალგამოყენების ანუ აღსრულების მიზანს ემსახურება, რის გამოც, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აღმასრულებელი ორგანოს ნორმატიული აქტები გამოიცემა კანონის აღსრულების მიზნით, ანუ ისინი კანონქვემდებარე აქტებია. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო აქტით სათანადოდ ვერ იქნება უზრუნველყოფილი ყველა სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედება ვერ იქნება უსაზღვრო, აღმასრულებელი ხელისუფლება ვერ იქცევა საკანონმდებლო პროცესის შემადგენელ ნაწილად და ვერ შეცვლის მას, მით უფრო როდესაც რეგულირება სცდება შიდასისტემურ რეგულაციას, აღმასრულებელი ხელისუფლების მექანიზმის შიდა ორგანიზაციას და ეხება მოქალაქის უფლებას. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის შესაბამისად, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება(გამოცემა) შეიძლება მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. სამართლის წყაროთა იერარქიაში ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები იურიდიული ძალის მიხედვით ექვემდებარებიან კანონს, კანონს აქვს უპირატესი ძალა კანონქვემდებარე აქტების მიმართ. კანონის უზენაესობის პრინციპი ვრცელდება მართვის ორგანოების როგორც მიმდინარე საქმიანობაზე, ისე ნორმაშემოქმედებით საქმიანობაზე. კანონს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა, თუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობა არღვევს კანონს ან მის მიერ გამოცემული აქტი ეწინააღმდეგება კანონს, მოქმედებს კანონი. ნორმატიული აქტის იერარქიის განმსაზღვრელი „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოს საკანონმდებლო აქტებს აქვთ უპირატესი იურიდიული ძალა სახელმწიფოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიმართ. ამავე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, თუ ამ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღება (გამოცემა) შეიძლება მიმღები (გამომცემი) ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მისი კომპეტენციის ფარგლებში, მხოლოდ საკანონმდებლო აქტის შესასრულებლად და იმ შემთხვევაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტით. კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტში მითითებული უნდა იყოს, თუ რომელი საკანონმდებლო აქტის საფუძველზე და რომლის შესასრულებლად იქნა იგი

მიღებული(გამოცემული). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დელეგირებული სამართალშემოქმედების, კანონმდებლობის დეკონცენტრაციის, მისი დივერსიფიკაციის გამოვლინებაა. დელეგირებული კანონშემოქმედების სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი აზრი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ კანონების მოთხოვნათა დაცვით რეგულირების ამოცანების შესრულებაში ჩართული იქნეს აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური შესაძლებლობანი და მისი სპეციალიზირებული პროფესიული ცოდნა. დელეგირება უზრუნველყოფს კონკრეტული სფეროს რეგულირების საგნობრივ ურთიერთკავშირს, რომელიც განაწილებულია კანონით განსაზღვრულ მასშტაბსა და ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონქვემდებარე აქტის მთავარი ფუნქცია - საკანონმდებლო აქტის ეფექტური აღსრულების უზრუნველყოფაა.<sup>74</sup>

შესაბამისად, როგორც აღვნიშნეთ, ნორმატიული აქტის მატერიალური კანონიერება მოწმდება არა მხოლოდ უშუალოდ იმ კანონთან შესაბამისობის ჭრილში, რომლის საფუძველზეც იგი არის გამოცემული, არამედ მასზე იერარქიულად ზემდგომ ნებისმიერ ნორმატიულ აქტთან მიმართებაში. მათ შორის უმნიშვნელოვანესია დისკრეციული უფლებამოსილებისა და თანაზომიერების პრინციპის სათანადო გამოყენება.<sup>75</sup>

### **3. გადაწყვეტილება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელთან დაკავშირებით**

სასამართლოს მიერ აქტის ბათილად ცნობის წინაპირობა გაწერილია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

<sup>74</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება Nბს-815-807(კ-16); ასევე იხ. მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, 269 და მომდევნო.

<sup>75</sup> პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, გვ. 60.

ამავდროულად, ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დავის შემთხვევაში, რეგლამენტირებულია სპეციალური წესები, რომლის თანახმადაც, თუ ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ბათილად გამოცხადება მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო ან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ანდა გამოიწვევს სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ხარჯების მნიშვნელოვან გაზრდას, სასამართლო უფლებამოსილია (არა ვალდებული) ნორმატიული ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი ბათილად გამოცხადების ნაცვლად გამოაცხადოს ძალადაკარგულად.<sup>76</sup> ამავდროულად, სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა გამოქვეყნდეს იმავე წესით, რა წესითაც იყო გამოქვეყნებული ნორმატიული აქტი, რაც თავის მხრივ რეგულირდება „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით. გამოქვეყნება ხორციელდება ნორმატიული აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ხარჯით.<sup>77</sup>

იმისათვის, რათა სასამართლომ სცნოს ბათილად კონკრეტული ნორმატიული აქტი, აუცილებელია კუმულატიურად რიგი გარემოებების არსებობა, რაც გულისხმობს გასაჩივრებული აქტის კანონთან წინააღმდეგობას და მოსარჩელისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენებას, ან უკანონოდ უფლების შეზღუდვას.<sup>78</sup>

ნათელია, რომ მხარისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენებას სამართალწარმოების ეტაპზე უკვე მეორედ ესმევა ხაზი. პირველ შემთხვევაში ხსენებული გარემოება მოწმდება იმ მიზნით, რათა დადგინდეს პირს აქვს თუ არა უფლება იდავოს სასამართლოში მისი დარღვეული უფლების დასაცავად, ხოლო მეორე შემთხვევაში ზემოაღნიშნული წარმოადგენს აქტის ბათილად ცნობის წინაპირობას, ელემენტს, კანონთან წინააღმდეგობასთან ერთად. კანონმდებლის ასეთი მიდგომა აჩენს კითხვას მასზედ, თუ რა საჭიროა ბათილად ცნობის საფუძვლად განმეორებით მიეთითოს - მოსარჩელისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანი (კანონთან წინააღმდეგობასთან ერთად), იმ დროს როდესაც სასამართლოს ერთხელ უკვე აქვს შემოწმებული ეს ელემენტი სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე. მოცემული გარემოება გვაფიქრებინებს, რომ კანონმდებელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სარჩელის დაკმაყოფილებისას სასამართლო კიდევ ერთხელ უნდა

<sup>76</sup> მაია ვაჩაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 183; იქვე, ინგა თოდრია გვ. 187 და მომდევნო.

<sup>77</sup> იქვე.

<sup>78</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლამე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 326.

დარწმუნდეს, რომ მოსარჩელეს ადგება ასეთი ზიანი. რიგ შემთხვევებში, შესაძლოა სწორედ ის გარემოება, თუ რამდენად ადგება მოსარჩელე მხარეს პირდაპირი და უშუალო ზიანი, წარმოადგენდეს დავის საგანს ან სადავო ელემენტს, გარემოებას. ასეთ დროს ბუნებრივია სასამართლო გარკვეული მტკიცების სტანდარტის დაკმაყოფილების შემთხვევაში მიიღებს ასეთ სარჩელს წარმოებაში და არსებითი განხილვის, მტკიცებულებათა სრულყოფილი შეფასებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე შეაფასებს თუ რამდენად არის ზიანის მომტანი კონკრეტული ნორმატიული აქტი მხარისათვის.<sup>79</sup>

მაგალითისათვის, ერთერთ საქმეში მოსარჩელე სხვა მოთხოვნებთან ერთად ითხოვდა ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 02 ოქტომბრის N20-100 დადგენილება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, რომლის საფუძველზეც „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20 105 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი - რუკა, თანდართული სახით ჩამოყალიბდა. კერძოდ, დადგენილებას თანდართული განმარტებითი ბარათის თანახმად, ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარე N01.16.03.010.032 8035 კვ.მ მიწის ნაკვეთის ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონასა და სპეციალურ ზონა 1-ს შორის კონტური დაზუსტდა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 4 ივნისის N23 სხდომის ოქმის საფუძველზე ლანდშაფტურ - სარეკრეაციო ზონა სპეციალურ ზონა 1-ით შეიცვალა. ხოლო შემდგომ სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 8 ოქტომბრის N2221385 ბრძანებით, ქალაქ თბილისში, ხუდადოვის ქუჩის მიმდებარე 5000 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასატრო კოდი N01.16.03.010.032) დადგინდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 5 ნოემბრის N2280061 ბრძანებით, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა დისპანსერის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. --- სასამართლომ განმარტა : „პალატა ეთანხმება და იზიარებს პირველი

<sup>79</sup> მაია ვაჩაძე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი, თბილისი, 2005 GTZ, გვ. 133.

ინსტანციის სასამართლოს იმ განმარტებას, რომ სს „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრი“, ისევე როგორც მისი ბავშვთა განყოფილება სადავო აქტების გამოცემამდე ფუნქციონირებდა და ბავშვთა განყოფილებისათვის ახალი ნაგებობის აშენება მოსარჩელის მიმართ არსებითი ზიანის მომტან ქმედებად ვერ ჩაითვლება, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები არც პირველი ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო პალატაში წარმოდგენილი არ ყოფილა. რაც შეეხება მშენებლობისა თუ ხეების მოჭრის კანონირების შეფასებას, იგი განსახილველი დავის საგანს სცდება.<sup>80</sup> მოცემულ შემთხვევაში სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ მოსარჩელეს შესაძლოა მსიდგომოდა არსებითი ზიანი იმ პირობებში როდესაც, კონკრეტული სამართლებრივი აქტებით მოხდა ახალი მშენებლობისათვის სამარტლებრივი საფუძვლის წარმოშობა, იმ ფონზე როდესაც ფაქტობრივად მიმდებარე/მომიჯნავე ტერიტორიაზე უკვე არსებობდა ძირითადი შენობა. (დაწესებულების ძირითადი ნაწილი).

ნორმატიული აქტის მატერიალური კანონიერების ნაწილში, როგორც ზემოთ აღნიშნა აუცილებელია, რომ გასაჩივრებული ნორმატიული აქტი შეესაბამებოდეს არამხოლოდ იმ აქტს, რომლის საფუძველზეც და შესასრულებლადაც არის გამოცემული, არამედ მასზე ზემდგომ ნებისმიერ და ყველა სამართლებრივ აქტს.<sup>81</sup>

თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ განხილულ ერთერთ ადმინისტრაციულ საქმეზე, გასაჩივრებული იყო სწორედ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, კერძოდ „იმ ქვეყნების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომელთა მიერ გაცემული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობით მის მფლობელს უფლება აქვს, საქართველოში განახორციელოს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა შესაბამის სპეციალობაში (სპეციალობებში) სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე და იმ ქვეყნების ნუსხის, რომელთა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის პროგრამა შეესაბამება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ კრიტერიუმებს“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2017 წლის 28 ივნისის №01-42/ნ - ით დამტკიცებული იმ ქვეყნების ნუსხა, რომელთა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის პროგრამა შეესაბამება სამინისტროს მიერ განსაზღვრულ

<sup>80</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 აპრილის განჩინება საქმე №3ბ/438-18.

<sup>81</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 აპრილის განჩინება საქმე №3ბ/438-18.

კრიტერიუმებს (დანართი 2) - ის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, როცა უცხოეთში მიღებული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ხანგრძლივობა ნაკლებია საქართველოში მოქმედ შესაბამისი საექიმო სპეციალობის სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაზე და/ან პირს უცხოეთში დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) მიღებული აქვს კლინიკური ასპირანტურის ან კლინიკური ორდინატურის ფორმატში, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით, ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვალდებულების გარდა, ასევე, აუცილებელია, საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობის ფლობა, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესის მიხედვით.<sup>82</sup>

მოსარჩელე მხარე ასაბუთებდა, რომ ხსენებული დანართის საფუძველზე, მას წარმოეშვა ვალდებულება გაეგლო დამატებითი სასწავლო კურსები და ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა. რაც ბუნებრივია დამატებით ვალდებულებას წარმოადგენდა მოსარჩელისათვის. სხვა არგუმენტებთან ერთად სარჩელის საფუძველად მითითებული იყო ის გარემოება, რომ მოსარჩელები წლების განმავლობაში გადიოდნენ შესაბამის მზადებას უცხოეთში და მათ როდესაც უკვე გაიარეს შესაბამისი სწავლების კურსები შეიტყვეს, რომ უკვე უწევდათ დამატებითი ბარიერების გადალახვა სასერტიფიკაციო გამოცდაზე გასასვლელად. შესაბამისად, მოსარჩელე მხარე მიუთითებდა, რომ ბრძანების მათზე გავრცელებამ შელახა მათი ფულებები და მოცემული წარმოადგენდა კანონის დარღვევას. კერძოდ ბრძანების გავრცელება მოსარჩელებზე ეწინააღმდეგებოდა „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის (იმ დროს მოქმედი რედაქცია) 24-ე მუხლს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმადაც, ნორმატიულ აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.

სასამართლომ მოცემულ მსჯელობასთან დაკავშირებით განმარტა - რომ „ნორმატიული აქტის კანონიერების შემოწმებისას ასევე უნდა დადგინდეს დაცულია თუ არა მისი მომზადებისა და გამოცემის წესი. "ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 თავი ადგენს ნორმატიული აქტის მომზადებისა და მიღების (გამოცემის) ზოგადი წესს, ასევე ნორმატიული აქტის სტრუქტურას. აღნიშნული გარემოება მხარეს სადავოდ არ გაუხდია, ამასთან, მოსარჩელე მხარე ნორმატიული აქტის კონკრეტული

---

<sup>82</sup> მოსარჩელებმა იგივე ნორმატიული აქტის თაობაზე აღძრეს საკონსტიტუციო სარჩელი. რის თაობაზეც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს №1/4/1294 განჩინებით, არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად.

დებულების გაუქმებას ითხოვს იმ საფუძველით, რომ ამგვარი შეზღუდვა უკვე დასრულებულ ურთიერთობაზე არ უნდა გავრცელდეს, რაც სასამართლოს მოსაზრებით ვერ გახდება მისი გაუქმების საფუძველი. მოსარჩელები გასაჩივრებელი ნორმის კანონსაწინააღმდეგო ბუნებაზე მიუთითებენ, ვინაიდან იგი არ უნდა გავრცელდეს მანამდე არსებულ ურთიერთობაზე, სასამართლო კვლავ აღნიშნავს, გასაჩივრებელი ნორმა სრულად აღიარებს მოსარჩელეთა მიერ უცხოეთში მიღებული განათლების საქართველოში მოქმედ შესაბამის საექიმო სპეციალობებთან, როგორც თავსებად, დიპლომის შემდგომ განათლებას, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოეთში მიღებული დიპლომის შემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) ხანგრძლივობა ნაკლებია საქართველოში მოქმედ შესაბამისი საექიმო სპეციალობის სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაზე და/ან პირს უცხოეთში დიპლომის შემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) მიღებული აქვს კლინიკური ასპირანტურის ან კლინიკური ორდინატურის ფორმატში, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდაზე დაშვების მიზნით აწესებს ასევე საექიმო სპეციალობის მაძიებლის მოწმობის ფლობის აუცილებლობას. მოცემული ბრძანება მიღებულია 2017 წლის 28 ივნისს, რომელიც ძალაში შევიდა მისი გამოქვეყნებიდან 30-ე დღეს. ბრძანებაში არ არის რაიმე ნორმატიული დათქმა მის მიღებამდე არსებულ სამართალურ ურთიერთობაზე მისი გავრცელების შესახებ, რომლის კანონიერების საკითხი შესაძლოა ამ კუთხით გამხდარიყო შეფასების საგანი. რაც შეეხება კონკრეტული დებულებების გავრცელების კანონიერების საკითხს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მმართველობითი, აღმასრულებელი ღონისძიებების განხორციელებისას, მოსარჩელე მხარეს წარმოდგენილი სარჩელით სადავოდ არ გაუხდია. შესაბამისად, მათ მიერ განხორციელებულ უფლებაზე-განათლების მიღების უფლებაზე, დღეს მოქმედი ნორმატიული დანაწესის გავრცელების კანონიერების საკითხი მოცემული დავის ფარგლებში ვერ იქნება შეფასებული“.<sup>83</sup>

„ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო განმარტავს, რომ მოცემული ბრძანების კონკრეტული დებულების მოსარჩელებზე გავრცელებამ გამოიწვია თუ არა მიღებული განათლების უფლების შეზღუდვა და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბრძანების საფუძველზე განხორციელებული ქმედებები შეესაბამება თუ არა საერთაშორისო სამართლის ზოგად წესსა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს

<sup>83</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინება 2017 წელი 04 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე №3/5957-17 მოსარჩელე - ზ. ი. და სხვები მოპასუხე: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინააღმდეგ.

კანონის დანაწესებს, არ ქმნის გასაჩივრებული ნორმატიული დებულების გაუქმების საფუძველს“.<sup>84</sup>

მოცემულ საქმეში სასამართლომ ერთის მხრივ სარჩელის დასაშვებობის შემოწმების ეტაპზე შეამოწმა ის გარემოება, ზღუდავდა თუ არა გასაჩივრებული ნორმატიული აქტი მოსარჩელეთა უფლებებს, იმ მხრივ, რომ ვრცელდებოდა თუ არა მათზე გასაჩივრებული ნორმატიული აქტის (მისი ნაწილის) მოქმედება, თუმცა განმარტა, რომ თავად ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებდა მისთვის უკუძალის მინიჭებას, ხოლო ინდივიდუალურ შემთხვევაში სწორად ხდებოდა თუ არა, ამა თუ იმ სუბიექტზე აქტის მოქმედების გავრცელება, უნდა შემოწმებულიყო ცალკეულ შემთხვევებში.

ნორმატიული აქტის კანონთან შესაბამისობის კუთხით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთი საქმე, სადაც მოსარჩელე მხარე ითხოვდა - ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის N1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადება: „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია“; ამავე დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადების \_ „აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ კონფიდენციალურია“.

მოსარჩელე მხარე მიიჩნევდა, რომ მოცემული აქტები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტებს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კომერციული საიდუმლოება იყო ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენებოდა საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად, ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენდა სიახლეს, ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე, სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებაც შესაძლო იყო ზიანი მიყენებინა პირის კონკურენტუნარიანობისათვის. აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა შესახებ არსებული ინფორმაცია, მით უმეტეს, მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაცია, კონფიდენციალური არც კომერციული საიდუმლოების ნიშნით იქნებოდა. ინფორმაცია კომერციული

---

<sup>84</sup> იქვე



საიდუმლოება იყო, თუ ის იყო კომერციული ფასეულობის მატარებელი, ან მის გამჟღავნებას შესაძლო იყო ზიანი მიეყენებინა პირის კონკურენტუნარიანობისათვის. „სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზანი იყო, საკუთრების უფლება გადასცემოდა მყიდველს, რომელიც ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა, ხოლო თუ აუქციონი გამოცხადდებოდა პირობებით – საკუთრების უფლება გადასცემოდა იმ მყიდველს, რომელიც აიღებდა ვალდებულებას, დაეკმაყოფილებინა გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში გამყიდველს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებდა.

მოსარჩელის განმარტებით, აუქციონი იყო სახელმწიფო ქონების გასხვისების ერთ-ერთი ფორმა. სახელმწიფო ქონების გასხვისება (პრივატიზება) იყო გამჭვირვალე პროცესი, რომელშიც მაქსიმალურად უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა. „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით დადგენილი იყო საპრივატიზებო ქონების გასხვისების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულება, რაც ამ პროცესის გამჭვირვალობის საკანონმდებლო გარანტია იყო. ამდენად, ამ პროცესის ფარგლებში, ინფორმაციის გასაიდუმლოება განსაკუთრებულ დასაბუთებას უნდა დაქვემდებარებოდა და დაეკმაყოფილებინა ინფორმაციის გასაიდუმლოებისათვის კანონმდებლობით დადგენილი ორივე კრიტერიუმი.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოცემულ საქმეზე შეცვალა ქვედა ინსტანციების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, ჩათვალა, რომ არ არსებობდა სარჩელის დაკამყოფილების საფუძელი და განმარტა - „საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის N1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტით კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაცია აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ, მიეკუთვნებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ, კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის იმ სახეს, რომლის გამჟღავნებას შესაძლო იყო ზიანი მიეყენებინა პირის კონკურენტუნარიანობისათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა არ

არღვევს სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და მისი გასხვისების საჯაროობასა და გამჭვირვალობას, ხოლო ხსენებული ინფორმაცია წარმოადგენს არა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 272-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ ინფორმაციას ან გასაყიდი სახელმწიფო ქონების თაობაზე ინფორმაციას, არამედ – უშუალოდ აუქციონში მონაწილე სუბიექტთა რაოდენობრივად განმსაზღვრელ, ამავე მუხლის პირველი ნაწილით რეგლამენტირებულ, კომერციული საიდუმლოების ფარგლებში მოქცეულ ინფორმაციას, რომლის აუქციონის ჩატარებამდე საჯაროობა ზიანს მიაყენებს სახელმწიფოს ინტერესებს და დააბრკოლებს სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისას კონკურენტული გარემოს შექმნას, კერძოდ, შეამცირებს კონკურენტული გარემოს ხარისხს და ამ მიმართებით, შეუძლებელი იქნება ობიექტურ პირობებში განვითარებადი, რეალური კონკურენციის უზრუნველყოფა. აქედან გამომდინარე, საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2006 წლის 24 ოქტომბრის N 1-1/1244 ბრძანებით დამტკიცებული «სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ» დებულების პირველი მუხლის მე-19 პუნქტის წინადადება: «მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ კონფიდენციალურია», არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 41-ე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 37-ე მუხლებს, რადგან აღნიშნული მუხლებით დადგენილი სახელმწიფო დაწესებულებებში არსებული ოფიციალური დოკუმენტების გაცნობისა და საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უფლებების რეალიზება ხსენებული წინადადებით განსაზღვრული ინფორმაციის შესაბამის დრომდე კონფიდენციალურად მიჩნევით, პირის კონკურენტუნარიანობის დაცვის მიზნით, მართლზომიერად იყო შეზღუდული. ამ შემთხვევაში, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის მიღების თაობაზე, კერძო პირის ინტერესთან შედარებით, მართლზომიერად ენიჭება უპირატესობა აუქციონის ჩატარებამდე აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს. მოსარჩელემ კი ვერ დაასაბუთა აუქციონში მონაწილეობის მსურველი კერძო პირის ლეგიტიმური ინტერესის არსებობა, რაც დააფუძნებდა განსახილველ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებასა და მოთხოვნილი ინფორმაციის საჯაროობის მიზანშეწონილობას. მოსარჩელემ ასევე ვერ დაასაბუთა კონკრეტულ შემთხვევაში, მისი შესაბამისი უფლებისათვის პირდაპირი და უშუალო ზიანის მიყენება.“<sup>85</sup>

<sup>85</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა

ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნით სარჩელის განხილვისას აუცილებელია, რომ სასამართლომ, განხვავებით თავად ადმინისტრაციული ორგანოსგან, აქტი შეაფასოს წმინდად კანონიერების კუთხით, კანონთან მისი შესაბამისობის გაანალიზებით და არა მიზანშეწონილობის კრილში.<sup>86</sup> მოცემული კუთხით მნიშვნელოვანია - ადმინისტრაციულ საქმეში Nბს-1403(კ-18) საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ დაუშვებლად ცნო საკასაციო საჩივარი და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, სადაც ვხვდებით შემდეგი სახის მჯსელობას „სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მსგავსად დაადასტურა პოზიცია იმის თაობაზე, რომ დავის გადაწყვეტის პროცესში სასამართლო ხელმძღვანელობს კანონის მოთხოვნებით, სასამართლო სადავო აქტის კანონიერებას ამოწმებს სწორედ კანონთან შესაბამისობის თვალსაზრისით და არ არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული აქტის კანონიერება განსაზღვროს მიზანშეწონილობის პრინციპებიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მიზანშეწონილობას არ გააჩნია და არ ენიჭება პრიორიტეტული მნიშვნელობა ნორმატიული მოთხოვნების დაცვასთან მიმართებაში, რის გამოც დაუშვებელია სასამართლოს მხრიდან ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა მხოლოდ იმ საფუძველით, რომ აქტის ამ სახით ან ამ შინაარსით გამოცემა არ არის მიზანშეწონილი. აქტი სასამართლომ შეიძლება ბათილად ცნოს მხოლოდ იმ პირობებში, თუ აქტი არ პასუხობს ფორმალური და მატერიალური კანონიერების პრინციპებს, რაც შეეხება მიზანშეწონილობის საკითხის განსაზღვრას, აღნიშნული მიეკუთვნება თავად ამ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს პრეროგატივას, კანონით მისთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში.“<sup>87</sup>

#### 4. დასკვნა

წინამდებარე ნაშრომის ფარგლებში შეფასდა და წარმოჩინდა, რომ ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის განხილვა, თავად ნორმატიული აქტის მნიშვნელობიდან და სოციალური დატვირთვიდან გამომდინარე, წარმოადგენს საერთო სასამართლოების უმნიშვნელოვანეს კომპეტენციას.

---

პალატის 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება Nბს-1435-1393(კ-08).

<sup>86</sup> მაია კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტლაძე, ეკატერინე ქარდავა, პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა "სიესტა", თბილისი, 2008 GTZ, გვ. 102.

<sup>87</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა ბს-1403 (კ-18) 05/02/2019.

ნაშრომში განხილული სამეცნიერო ლიტერატურის, კანონმდებლობისა და სასამართლოების პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე, არსებობს დასკვნის გაკეთების საფუძველი, რომ დასახვეწია ნორმატიული აქტის მომზადების, გამოცემის, ადმინისტრაციულ ორგანოთა მხრიდან კანონმდებლობის დაცვისა და სწორად აღსრულების და თავად ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის განხილვის პროცესის მარეგულირებელი წესები.

როგორც საკანონმდებლო დონეზე, ასევე იურიდიულ ლიტერატურაში მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს ნორმატიული აქტის გამოცემის ისეთ საფუძველებზე, რომელიც არ გააჩენს ინტერპრეტაციის საშუალებას მაგალითად იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ კონკრეტული ნორმატიული აქტის გამოსაცემად რამდენად კონკრეტულად და არა ზოგადად უნდა განსაზღვრავდეს კანონი გამოცემის უფლებამოსილებასა და დისკრეციის ფარგლებს.<sup>88</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დავის მიმართულებით საკმაოდ მწირი სასამართლო პრაქტიკა არსებობს. ასევე, მწირია ის სპეციალური საკანონმდებლო რეგულაციები, რომლის მიხედვითაც ხდება ამ მიმართულებით დავის განხილვა. თუმცა, მაინც შეგვიძლია დავასვანათ, რომ როგორც სარჩელის განხილვის ფორმალურ - წარმოებაში მიღების სტადიაზე, ასევე მისი შინაარსობრივი განხილვის ეტაპებზეც, შეინიშნება გარკვეული წინააღმდეგობა იურიდიულ ლიტერატურასა და უშუალოდ სასამართლო პრაქტიკის შორის. მაგალითისთვის, უმჯობესია ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი მიდგომა ისეთ საკითხებზე, როგორცაა პროცესის ეკონომიურად, სწრაფად და ეფექტურად წარმართვა, ვინაიდან რიგ შემთხვევებში - მაგალითისთვის მოსარჩელის მხრიდან ნორმატიული აქტის სარჩელთან ერთად წარმოუდგენლობის შემთხვევაში ხარვეზის დადგენა წარმოადგენს ხისტ და გონივრულ საფუძველს მოკლებულ ქმედებას.

მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბება, როგორცაა პროცესის მონაწილე სუბიექტთა განსაზღვრა, თუ ვინ უნდა იყოს საქმეში მესამე პირად ჩაბმული, რიგ შემთხვევებში, სახელმწიფოს იმ ორგანოთა მონაწილეობა სასამართლო განხილვაში, რომელთა მხრიდან არა უშუალოდ ნორმატიული აქტის ავტორობა, არამედ ინიციატორობა გვაქვს სახეზე. ასევე, ნაშრომში წარმოჩინდა, რომ გარკვეულ აღრევა არსებობს იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკას შორის საკითხის გადაწყვეტისას კომპეტენციათა გამიჯვნის თაობაზე -

---

<sup>88</sup> იხ. ზემოთ „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლთან დაკავშირებული მსჯელობა.

საკონსტიტუციო სასამართლოსთან, რა დროსაც უპრიანი იქნებოდა, რომ სასამართლომ ჩამოაყალიბოს ერთგვაროვანი მიდგომა, რომელიც ემხვევა ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიგვაჩნია, რომ უპრიანი იქნებოდა ხსენებული საკითხების გარკვეულწილად კანონმდებლობით უფრო დეტალიზებული რეგლამენტაცია. ამავდროულად, მიზანშეწონილია ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში გაკეთდეს ჩანაწერი ან/და უზენაესი სასამართლოს მხრიდან მოხდეს განმარტებანი მასზედ, თუ როგორ უნდა მოხდეს უშუალოდ ნორმატიული აქტის ბათილად ცნობის თაობაზე დავის განხილვა პროცესის სწრაფად და ეფექტურად წარმართვის კუთხით და ამავდროულად სასამართლოს მიერ რეალური კონტროლის განხორციელების ბერკეტების გამოყენებით.

## გამოყენებული ნორმატიული მასალა

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995;

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, სსმ, 33, 09/11/2009;

„საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, პარლამენტის უწყებანი, 001, 27/02/1996;

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, სსმ, 41, 08/12/2009;

საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, სსმ, 32(39), 15/07/1999;

საქართველოს კანონი „საქართველოს კანონი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, სსმ, 39(46), 06/08/1999;

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონი, სსმ, 3, 13/02/2004;

საქართველოს კანონი „საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი“, პარლამენტის უწყებანი, 47-48, 31/12/1997;

„საქართველოს მთავრობის რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 თებერვლის №77 დადგენილება, ვებგვერდი, 14/02/2018;

„საექიმო სპეციალობათა პროფესიული კომპეტენციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება 2015 წლის 30 მარტის №01-8/ნ ბრძანება, ვებგვერდი, 31/03/2015.

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი  
(**Verwaltungsgerichtsordnung**)

<https://www.gesetze-im-internet.de/vwgo/>

ამერიკის უზენაესი სასამართლოს წესები (RULES OF THE Supreme Court of the United States)

<https://www.supremecourt.gov/filingandrules/2017RulesoftheCourt.pdf>

## გამოყენებული ლიტერატურა

*Dr. Kay Windthorst* - Dr. Christoph Gröpl, Dr. Kay Windthorst, Dr. Christian von Coelln, Grundgesetz Studienkommentar C.H.Beck; Auflage: 2 2015 Verlag C.H. Beck oHG;

*იზორია ლევან, ტურავა პაატა, სხირტაძე ნუგზარ*, - ზურაბ ადგიშვილი, ქეთევან ვარდიშვილი, ლევან იზორია, ნინო კალანდაძე, მათა კოპალეიშვილი, ნუგზარ სხირტაძე, პაატა ტურავა, დიმიტრი ქიტოშვილი, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო (მეორე აქტუალიზირებული გამოცემა) გამომცემლობა, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, GTZ 2005;

*ხუბუა გიორგი*, - აკაკი გაწერელია, დიმიტრი გეგენავა, კარლ-პეტერ ზომერმანი, ირაკლი კობახიძე, ზვიად როგავა, სანდრო სვანიშვილი, პაატა ტურავა, კობა ყალიჩავა, გიორგი ხუბუა, საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები - „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო“, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები ტომი 3, თსუ, 2016;

ელ. ვერსია - <http://www.library.court.ge/upload/giz2016-ge-handbook-legal-bases-public-administration.pdf>

*ჯორბენაძე სერგი*, არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ადმინისტრაციული სამართალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, სამეცნიერო რედაქტორი: მათა კოპალეიშვილი, GIZ, 2016, თბილისი 2016;

ელ. ვერსია - <http://www.library.court.ge/upload/giz2016-ge-journal-administrative-law.pdf>

*ტურავა მერაბ*, - ირაკლი ბურდული, ევა გოცირიძე, თინათინ ერქვანია, ბესარიონ ზოიძე, ლევან იზორია, ირაკლი კობახიძე, არჩილ ლორია, ზურაბ მაჭარაძე, მერაბ ტურავა, ანა ფირცხალაშვილი, იაკობ ფუტყარაძე, ბექა ქანთარია, დავით წერეთელი, სანდრო ჯორბენაძე, „საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი“ , ა(ა)იპ კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013;

ერემაძე ქეთევან, „ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013;

ელ. ვერსია <http://www.library.court.ge/upload/Interesta%20dabalanseba.pdf>

ვაჩაძე მათა, თორდია ინგა, ტურავა პაატა, - მათა ვაჩაძე; ინგა თორდია; პაატა ტურავა; ნათია წკეპლაძე - „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის კომენტარი“ გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), გამომცემლობა „დიოგენე“, თბილისი 2005;

მაია კოპალეიშვილი; ნუგზარ სხირტლაძე; ეკატერინე ქარდავა; პაატა ტურავა, ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ), გამომცემლობა „სიესტა“ 2008, თბილისი;

თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ხრუსტალი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი 2007;

საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე, XXX, თბილისი, 2007;

ელ. ვერსია - [http://www.library.court.ge/upload/rekadm\\_2007.pdf](http://www.library.court.ge/upload/rekadm_2007.pdf)

ირმა ხარშილაძე, ადმინისტრაციული საჩივარი, როგორც სარჩელის წარდგენის წინაპირობა, სამართლის ჟურნალი N1, 2011, მთავარი რედაქტორი ბესარიონ ზოიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იურიდიული ფაკულტეტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, Tbilisi University Press, 2011;

მარინე კვაჭაძე, ნათია ჯუღელი, ელენე ღვინჯილია, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (Amicus curiae) როლი სამართალწარმოების პროცესში ნაშრომი მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი;

ელ. ვერსია - <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/amicus-curiae.pdf>

საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე 2018, N5;

ელ ვერსია - <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-administr-krebuli5.pdf>

პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ადმინისტრაციული სამართლის დამხმარე სახელმძღვანელო, საქართველოს გაეროს ასოციაცია, დაბეჭდილია შპს „ფორმა“-ში, 2005;

პაატა ტურავა, ნათია წკეპლაძე, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, გამომცემლობა სეზანი, თბილისი 2010. სახელმძღვანელო



გამოიცა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის მიერ.

**საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, საქართველოს საერთო სასამართლოებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები/განჩინებები**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის N1/3/407 გადაწყვეტილება „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საქართველოს მოქალაქე ეკატერინე ლომთათიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ნოემბრის № 1/3/421,422 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 28 ივნისის N 1/466 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2004 წლის 21 დეკემბრის N2/6/264 გადაწყვეტილება საქმეზე „შპს „უნისერვისის“ კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2005 წლის 17 მარტის N2/3/286 გადაწყვეტილება საქმეზე „მოქალაქე ოლეგ სვინტრაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 27 თებერვლის N2/2/558 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ილია ჭანტურაია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის N 2/8/765 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე დავით ძოწენიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 27 აგვისტოს № 1/2/434 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის N1/19/1241 განჩინება „ა(ა)იპ „ადამიანის უფლებების სწავლების და

მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და ა(ა)იპ „ერთობა 2013“ საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“;

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება - საფეხბურთო კლუბი „მრეტები“ საქართველოს წინააღმდეგ (საჩივარი №38736/04);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 28 ივნისის განჩინება Nბს-10-10(კ-18);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივნისის განჩინება Nბ-705-17;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინება 2011 წლის 19 მაისი საქმე Nა-998-ა-7-2011 Nა-998-ა-7-2011 დ-შვილი <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/a-998-a-7-2011.pdf> . ;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14/02/2012 წ. განჩინება, საქმე Nბს-1339-1324(კ-11);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2006 წლის 18 იანვრის განჩინება, Nბს-690-277(კ-05);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატა 20/02/2002 წ. განჩინება, N ჰგ/ად-71-კ-ს-01;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა Nბს-145-138(კ-13) 12 თებერვალი, 2015 წ., ქ. თბილისი, - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე 2018, N5;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა Nბს-756-748(2კს-16) 24 ნოემბერი, 2016 წ., ქ. თბილისი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე 2018, N5;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა Nბს-500-493(3კ-კს-15) 29 სექტემბერი, 2015 წ., ქ. თბილისი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე 2018, N5;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 5 თებერვლის განჩინება საქმე Nბს-1403(კ-18);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინსიტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმე Nბს-167-161(კ-10);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 25 მაისის გადაწყვეტილება Nზს-815-807(კ-16);

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 17 თებერვლის გადაწყვეტილება Nზს-1435-1393(კ-08);

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2019 წლის 15 აპრილის განჩინება საქმე №3ზ/438-18;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 26 მარტის განჩინება, საქმე №330310117002194655 (3ზ/162-18);

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 28 იანვრის განჩინება, საქმე N3ზ/83-16;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წელი 04 სექტემბრის განჩინება ხარვეზის დადგენის შესახებ, საქმე №3/5957-17;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წელი 04 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმე №3/5957-17;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 აპრილის განჩინება საქმე N 3/955-18 განჩინება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 7 ივნისის განჩინება საქმე N3/955-18;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 27 სექტემბრის N 3/2866-16 გადაწყვეტილება.

### **გამოყენებული ონლაინ რესურსები**

*ხუბუა გიორგი*, - აკაკი გაწერელია, დიმიტრი გეგენავა, კარლ-პეტერ ზომერმანი, ირაკლი კობახიძე, ზვიად როგავა, სანდრო სვანიშვილი, პაატა ტურავა, კობა ყალიჩავა, გიორგი ხუბუა, საჯარო მმართველობის კონსტიტუციური საფუძვლები - „საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო“, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები ტომი 3, თსუ, 2016;

ელ. ვერსია - <http://www.library.court.ge/upload/giz2016-ge-handbook-legal-bases-public-administration.pdf>

ჯორბენაძე სერგი, არაუფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ადმინისტრაციული სამართალი სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, სამეცნიერო რედაქტორი: მათა კოპალეიშვილი, GIZ, 2016, თბილისი 2016;

ელ. ვერსია - <http://www.library.court.ge/upload/giz2016-ge-journal-administrative-law.pdf>

ერემაძე ქეთევან, „ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ), 2013;

ელ. ვერსია <http://www.library.court.ge/upload/Interesta%20dabalanseba.pdf>

მარინე კვაჭაძე, ნათია ჯუღელი, ელენე ღვინჯილია, სასამართლოს მეგობრის ინსტიტუტის (Amicus curiae) როლი სამართალწარმოების პროცესში ნაშრომი მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრი;

ელ. ვერსია - <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/amicus-curiae.pdf>

საქართველოს უზენაესი სასამართლო, პრაქტიკული რეკომენდაციები ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის საკითხებზე, XXX, თბილისი, 2007;

ელ. ვერსია - [http://www.library.court.ge/upload/rekadm\\_2007.pdf](http://www.library.court.ge/upload/rekadm_2007.pdf)

საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ საქმეებზე 2018, N5;

ელ ვერსია - <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2018w-administr-krebuli5.pdf>

გერმანიის ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი  
(*Verwaltungsgerichtsordnung*)

<https://www.gesetze-im-internet.de/vwgo/>

ამერიკის უზენაესი სასამართლოს წესები (RULES OF THE Supreme Court of the United States)

<https://www.supremecourt.gov/filingandrules/2017RulesoftheCourt.pdf>